პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი
შაბათი
26 მაისი
№ 121 (17466)
ფასი 2 კაპ.

ხუთწლედის ადამიანები

მიმდინარე ხუთწლედის მეოთხე წლის დასაწყისიდანვე წარმატებით შრომობს ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოს — ქარხანა „მიკროძრავის" კოლექტივი.

წლის დამდეგიდან მიკროძრაველებმა გამოუშვეს და მომხმარებლებს უკვე მიაწოდეს ორი ათასზე მეტი ზეგეგმითი მიკროძრავა.

* * *

სურათზე: მოწინავე საამქროს წარჩინებული მუშები (პირველ რიგში) ა. ახნაზაროვა, ნ. აბულაშვილი, ლ. დიღმელაშვილი, ლ. მჭედლიძე, ტ. ტელევნიკოვა, (მეორე რიგში) ა. ვოსკანიანი, მ. ალადაშვილი, ლ. მურატოვა, ც. ზაზაშვილი, ნ. არაქელოვა, ე. ოვსიანი და ე. ეფიმჩენკო.

ს. კილაძის ფოტო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

მედლის „საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცებისათვის" დაწესების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაწესდეს მედალი „საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცებისათვის".

2. დამტკიცდეს დებულება მედლისა „საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცებისათვის".

3. დამტკიცდეს აღწერილობა მედლისა „საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცებისათვის".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1979 წლის 25 მაისი.

აღწერილობა

მედლისა „საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცებისათვის"

მედალი „საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცებისათვის" დამზადებულია ოქროსფერი ტომპაკისაგან და აქვს 32 მილიმეტრი დიამეტრის სწორი წრის ფორმა.

მედლის შუბლზე გამოსახულია ხუთქიმიანი ვარსკვლავი, რომლის ქიმები დაფარულია წითელი მინანქრით. ვარსკვლავის ცენტრალურ ნაწილში მოთავსებულ ფარზე წარწერილია: „საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცებისათვის" და „სსრკ". ვარსკვლავის მარცხნივ და მარჯვნივ წრეწირზე გამოსახულია დაფნის ტოტები, მედლის ქვედა ნაწილში — ორი გადაჯვარედინებული მახვილი. ყველა გამოსახულება და წარწერა ამობურცულია. მედლის შუბლს შემოვლებული აქვს ქიმი. მედლის ზურგი უკანასტარი მქრქალია.

მედალი ყუნწითა და რგოლით შეერთებულია ხუთკუთხა მორაკთან, რომელზეც გადაჭიმულია 24 მილიმეტრი სიგანის აბრეშუმის მუარის ლენტი. ლენტის ფერებში შეხამებულია ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა დროშების ფერები. ლენტზე გრძივი ფერადი ზოლები მარცხნიდან მარჯვნივ შემდეგნაირად ენაცვლებიან ერთმანეთს: მწვანე, თეთრი, წითელი, ყვითელი, შავი, ყვითელი, წითელი, თეთრი, ლურჯი. ზოლების სიგანეა: მწვანისა და ლურჯისა — 4 მილიმეტრი, თეთრის, ყვითლისა და შავისა — 1 მილიმეტრი, წითლისა — 5,5 მილიმეტრი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

დებულება

მედლისა „საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცებისათვის"

1. მედლით „საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცებისათვის" ჯილდოვდებიან ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა, აგრეთვე სხვა სოციალისტურ და მეგობარ სახელმწიფოთა სამხედრო მოსამსახურეები, სახელმწიფო უშიშროების, შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები და სხვა მოქალაქენი საბრძოლო თანამეგობრობისა და სამხედრო თანამშრომლობის განმტკიცებაში დამსახურებისათვის.

2. მედლით „საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცებისათვის" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით აჯილდოებენ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე. მედლით განმეორებითი დაჯილდოება არ ხდება.

მედალთან ერთად დაჯილდოებულს გადაეცემა მედლის დადგენილი ფორმის მოწმობა.

3. მედალს „საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცებისათვის" დაჯილდოებული ატარებს მკერდის მარცხენა მხარეს და თუ აქვს სსრ კავშირის ორდენები და სხვა მედლები, იკეთებს „სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 60 წლის" საიუბილეო მედლის შემდეგ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდი.
მ. გიორგაძე.

ყანა ხვავიანი უნდა იყოს

ქვეყნის ველ-მინდვრებს ყოველდღე თავს დასტრიალებენ სასოფლო-სამეურნეო ავიაციის თვითმფრინავები და ვერტმფრინავები. გაზაფხულზე მხვნელ-მთესველთა ფრთოსანმა თანაშემწეებმა აგროქიმიური სამუშაოები უნდა შეასრულონ 25 მილიონ ჰექტარზე მეტ ფართობზე. თავიანთ ვალდებულებათა მნიშვნელოვანი ნაწილი მათ უკვე შეასრულეს. ავიატორებს არ ჩამოუვარდებიან ისინიც, ვინც მინდვრად გაიყვანა მანქანები. რაც შეიძლება მალე შევიტანოთ ნათესებში დამატებითი სასუქები — ეს ნიშნავს კიდევ უფრო ღონიერი გავხადოთ თავთავიანი და სხვა კულტურები.

ხუთწლედის მეოთხე წელს სოფლის მშრომელებმა მაღალ მიჯნებს უნდა მიაღწიონ, ახალი წვლილი შეიტანონ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციაში. ეს კი იმ ღონისძიებათა სისტემის უნარიან გამოყენებაზეც არის დამოკიდებული, რომლებიც ხელს უწყობს მოსავლიანობის ზრდას. „მარცვლეულის მაქსიმალური მოსავლის მიღებას, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებას, — თქვა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ახლა აგროტექნიკური წესების მთელი არსენალი უნდა მოვახმაროთ, გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა და რეზერვი, ამ მიზანს დავუქვემდებაროთ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, მეურნეობათა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების, საბჭოთა მეურნეობების მუშათა და კოლმეურნეთა მუშაობა".

სახნავ-სათესის ნაყოფიერების გადიდებისათვის ზრუნვა გეგმაზომიერი კომპლექსური საქმეა, რომლის წარმატებას საბოლოო ანგარიშით მოსავლის ზრდა, მარცვლეულისა და სხვა კულტურების მთლიანი მოსავლის გადიდება განსაზღვრავს. საჭიროა თითოეულ მეურნეობაში რაციონალურად, მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის რეკომენდაციათა შესაბამისად შევიტანოთ ნიადაგში სასუქები. სპეციალისტებმა გულდასმით უნდა განსაზღვრონ სასუქების დოზები, შეუფარდონ ისინი თითოეული ყანის ნავარაუდევ მოსავლიანობას, დროზე განახორციელონ მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი. ერთი სიტყვით, ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ეფექტიანად გამოვიყენოთ მინერალური და ორგანული სასუქები, ქიმიური მელიორანტები.

წელს სოფელმა 86 მილიონი ტონა სასუქი უნდა მიიღოს. მათი რაციონალური გამოყენებისათვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ მინდვრების ტექნოლოგებს — აგრონომებს. ამავე დროს ზოგიერთ მეურნეობაში აგრონომიული სამსახური აგვიანებს რეკომენდაციათა მიცემას, მექანიზატორებს ყოველთვის ვერ შეაქვთ დროზე სასუქები. პარტიულმა კომიტეტებმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა უნდა აამაღლონ აგრონომების როლი, მათი შემოქმედებითი აქტიურობა და პასუხისმგებლობა, მიაღწიონ აგროტექნიკის მოთხოვნების განუხრელ დაცვას.

ПРАВДА

25 მაისის მოწინავე

მოწინავეთა გამოცდილება, მიღწეული მაჩვენებლები დამაჯერებლად მოწმობს, თუ რა მნიშვნელოვანი უკუგება მოაქვს ველ-მინდვრების ფართო ქიმიზაციას, მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებას. მოსკოვის, ვლადიმირის ოლქების, კრასნოდარის მხარის, უკრაინის, მოლდავეთის ბევრ მეურნეობაში ყოველ ცენტნერ შეტანილ სასუქზე იღებენ 1,5 — 2 ცენტნერ მარცვლეულს, 5-7 ცენტნერ კარტოფილს, 5-11 ცენტნერ შაქრის ჭარხალს, 812 ცენტნერ ბოსტნეულს. მაგრამ ყოველ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არის ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, სადაც მინდვრების გაპოხიერება სასურველ შედეგებს ვერ იძლევა. ასეთი მდგომარეობაა, მაგალითად, პენზისა და ლიპეცკის ოლქების მეტ წილ რაიონებში. რა არის ამის მიზეზი, რატომ მოხდა, რომ აქ სასუქების გამოყენება ბევრად გაიზარდა, პროდუქციის წარმოება კი შესამჩნევად ვერ იზრდება? როგორც ჩანს, აქ დიდია ნაყოფიერების გრანულების დანაკარგები და გაფუჭება. არღვევენ ნიადაგში მათი შეტანის ტექნოლოგიას. სამეურნეო ხელმძღვანელებმა, სოფლის სპეციალისტებმა ღრმად უნდა გააანალიზონ ამგვარი ფაქტები, მკაცრად მოჰკითხონ წუნისმკეთებლებს, მიაღწიონ, რომ ყოველი კილოგრამი ყუათიანი ნივთიერება მნიშვნელოვანი მოსავლით ნაზღაურდებოდეს.

დიდ ზრუნვას მოითხოვს აგრეთვე ორგანული სასუქების გამოყენება, დიდია მათი როლი სახნავ-სათესის ნაყოფიერების გადიდებაში. დროზე გააქვთ ორგანული სასუქები მინდვრად ბელორუსიაში, უზბეკეთში, რუსეთის სფსრ ჩრდილოეთ კავკასიის რაიონში, კიროვის, ულიანოვსკის ოლქების, თათრეთის ასსრ, ყაზახეთისა და ლატვიის სსრ მეურნეობებმა კი შესამჩნევად შეამცირეს ადგილობრივი სასუქების დამზადება. პარტიული და სამეურნეო ორგანოების, სოფლის აგრონომიული სამსახურის პირდაპირი მოვალეობაა სისტემატური კონტროლი გაუწიონ ამ მუშაობას.

უკანასკნელი წლების მანძილზე მიღწეულ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდას ბევრად შეუწყვეს ხელი ქიმიური ინდუსტრიის მუშაკებმა. დარგის მოწინავე საწარმოთა კოლექტივები, რომლებიც ზრდიან სასუქების წარმოებას, დღენიადაგ აუმჯობესებენ მათ ხარისხს. ამავე დროს, ისეთი საწარმოების პროდუქცია, როგორიცაა იონავის აზოტიანი სასუქების, რუსთავის ქიმიური ქარხნები, სუმისა და ჯამბულის „ქიმმრეწვის" გაერთიანებანი, ნოვგოროდის „აზოტის", „ურალკალიუმის" ქარხნები, სერიოზულ საყვედურს იმსახურებს. სასუქების ნაწილი ყუათიან ნივთიერებათა შემცირებული შემცველობისაა, გრანულები იტკეპნება გადაზიდვისა და დაცვა-შენახვის დროს. ქიმიური მრეწველობის სამინისტროს, ადგილობრივი პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელებმა უნდა აამაღლონ სამეურნეო კადრების პასუხისმგებლობა სასუქების მიწოდების ვადების ზუსტად დაცვისათვის, წარმოების ტექნოლოგიის მოგვარებისათვის, რათა სასუქებს სტანდარტების შესაბამისად უშვებდნენ.

ჩვენი ქვეყნის ვრცელ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით რუსეთის არაშავმიწანიადაგიან ზონაში სასუქების შეტანის წინ უნდა განხორციელდეს მჟავე ნიადაგების გაკირიანება. ეს აგროტექნიკური ხერხი ამაღლებს სასუქების გამოყენების ეფექტიანობას. ასეთი მუშაობის საყურადღებო გამოცდილება შეიძინეს ბელორუსიაში, ესტონეთში, ლენინგრადის, სმოლენსკის ოლქებში, სადაც მჟავე სავარგულების ოდენობა შემცირდა. მაგრამ კალინინგრადის, ვოლოგდის ოლქებში, ჩუვაშეთში ისინი, პირიქით, გაიზარდა კიდეც, გაკირიანების საქმეში განსაკუთრებით ჩამორჩებიან გორკის ოლქის მეურნეობები, სადაც ამ სამუშაოთა შესრულების გეგმები სისტემატურად ვერ სრულდება. ადგილობრივმა პარტიულმა და სამეურნეო ორგანოებმა უნდა გამოასწორონ მდგომარეობა, გაზარდონ მიწების ქიმიური მელიორაციის ტემპი. საჭიროა აგრეთვე გავადიდოთ კირქვის მასალების მიწოდება. საშენ მასალათა მრეწველობის, შავი მეტალურგიის, ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის, კვების მრეწველობის სამინისტროთა წინაშე დასახულია ამოცანა გაზარდონ სიმძლავრენი, გაადიდონ მელიორანტების გამომუშავება.

პარტია და სახელმწიფო დღენიადაგ ზრუნავენ იმაზე, რომ უფრო სრულად დააკმაყოფილონ სოფლის მოთხოვნილებანი ქიმიზაციის საშუალებებზე, განამტკიცონ შესაბამისი დარგების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო ფართოდ უნდა გაშალონ მხვნელ-მთესველთა სოციალისტური შეჯიბრება მინერალური და ორგანული სასუქების ეფექტიანი გამოყენებისათვის, მიაღწიონ იმას, რომ თითოეული ცენტნერი სასუქი უხვი მოსავლით ნაზღაურდებოდეს. ეს შესაძლებლობას მოგვცემს უფრო სწრაფად გავზარდოთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება და გავაუმჯობესოთ ხარისხი. წარმატებით გავართვათ თავი ხუთწლედის მეოთხე წლის დავალებებს.

მიფრინავს „კოსმოს-1102"

1979 წლის 25 მაისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1102".

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს დედამიწის ბუნებრივი რესურსების კვლევას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ინტერესებისათვის.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. მიღებული ინფორმაცია დამუშავებისა და გამოყენებისათვის გადაეცემა სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითსა და საწარმოო ცენტრს „პრიროდას". (საკდესი).

მატყლობს შეჯიბრების ტემპი

უშვებენ ზეგეგმით პროდუქციას.

მწვანე კონვეიერი — მოქმედებს!

შეუნელებლად ვიზრუნოთ საკვებისათვის

აი რა გვიჩვენა დათვალიერებამ

საკვების წარმოების რეზერვების გამოვლენის მიზნით რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ყოველწლიურად აწყობს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათშორისო საწარმოების, „საქსასოფლტექნიკის" განყოფილებებისა და გაერთიანებების საკვების დამზადების სეზონისათვის მზადყოფნის დათვალიერებებს. გამონაკლისი არც მიმდინარე წელია.

10-20 მაისს გამართულ დათვალიერებაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის წევრები, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელი მუშაკები, მეცნიერები, სპეციალისტები.

რა გამოავლინა დათვალიერებამ, როგორია მისი შედეგები?

საქინფორმის კორესპონდენტისადმი მიცემულ ინტერვიუში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მდელოებისა და საძოვრების სამმართველოს უფროსის მოადგილემ შ. ხვადაგაძემ თქვა:

— დათვალიერება მოწმობს, რომ მთლიანად რესპუბლიკაში საკვები კულტურების თესვა საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში დაიწყო და წარმატებით, გასული წლის ტემპის გასწრებით მიმდინარეობს. საკვებმა კულტურებმა უკვე დაიკავა 123.300 ჰექტარი — 46100 ჰექტარით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. ეს გეგმის 80 პროცენტზე მეტს შეადგენს. მაგრამ ბევრი რაიონის მეურნეობები არღვევენ თესვის გრაფიკებს. მაგალითად, სამხრეთ ოსეთის, სამტრედიის რაიონის, ქალაქ წყალტუბოს ზონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მრავალწლოვანი ბალახების თესვის გეგმა მხოლოდ 21-41 პროცენტით, ხოლო წითელწყაროს, თელავის, ყვარლის, სამტრედიის, მაიაკოვსკის, ზესტაფონის რაიონების მეურნეობებმა ერთწლიანი ბალახების თესვის დავალება 46-76 პროცენტით შეასრულეს.

მთელ რიგ მეურნეობებში ნელა თესავენ ისეთ კულტურებს, როგორიცაა სასილოსე სიმინდი, საკვები ძირხვენები და ბაღჩეული კულტურები.

როგორც პრაქტიკამ ცხადყო, მდელოების მოსავლიანობაზე დიდ გავლენას ახდენს მინერალური სასუქების შეტანა, ამის უგულებელყოფა ნიშნავს საკვები კულტურების ნათესების შესაძლებლობის შემცირებას, ცენტნერი მწვანე მასის თვითღირებულების ზრდას. და მაინც დუშეთის რაიონის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ზოგიერთი სხვა რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ან სულ არ შეიტანეს ყანებში სასუქები, ან უხარისხოდ შეიტანეს, ამით საეჭვოა გადიდდეს ჰექტარი საკვები კულტურების მოსავლიანობა.

მეორე მნიშვნელოვანი მომენტია საკვებსაღები ტექნიკის შეკეთება. დათვალიერების მიმდინარეობის დროს გამოვლინდა, რომ სიღნაღის რაიონში მოსავლის აღების სამუშაოებისათვის მზად არ არის 13 სათიბელა, სამი საკვებსაქუცმაცებელი, ექვსი ასაკრები წნეხი, ხუთი სილოსის ასაღები კომბაინი, ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა აგრეთვე ქარელის, ახალციხის და სხვა რაიონებში.

როცა დასავლეთ საქართველოში თიბვაა გაჩაღებული, ხოლო გურჯაანის რაიონსა და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ სხვა რაიონში მასობრივად ამზადებენ სენაჟს, მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უქმადაა საკვების საამქროები, საკვების სამზარეულოები, ჯერაც არ დაუკომპლექტებიათ მექანიზატორთა რაზმები, არ მოუმზადებიათ საკვებმოპოვების ტექნიკა, არ იყენებენ აგრეთვე საკვებწარმოების ისეთ მნიშვნელოვან რეზერვებს, როგორიცაა საუკეთესო შრომითი კოლექტივების გამოცდილება, საკვების დამზადების პროგრესული მეთოდები, ბუნებრივი მდელოებისა და საძოვრების პროდუქტიულობის ამაღლება.

ამ დღეებში საკვებმომპოვებელთა წინაშე დგას პასუხსაგები ამოცანა. მათ თიბვის დაწყებიდანვე მაღალი ტემპით უნდა იმუშაონ, რომ უზრუნველყონ რესპუბლიკის ფერმები საჭირო რაოდენობის მაღალხარისხოვანი საკვებით. (საქინფორმი).

აღწევენ მიზანს

ცხინვალი. (საკ. კორ.). სტაბილურად შრომობს წლის დასაწყისიდან ცხინვალის მომინანქრებული სადენების ქარხნის კოლექტივი. ყოველდღიური დავალება საწარმოში 102-105 პროცენტით სრულდება. ასეთი წარმატებები ახალი ტექნიკის დანერგვამ, შრომის ნაყოფიერების ზრდამ და მასალებით ქარხნის რიტმულმა მომარაგებამ განაპირობა. მთავარი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდა ხელს უწყობს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. ამ გზით აქ ათასობით მანეთი დაიზოგა.

კარგად ორგანიზებული სოციალისტური შეჯიბრება ამრავლებს მოწინავეთა რიგებს. საწარმოს ოცდაათი მუშა მიმდინარე წლის მეორე ნახევრის ანგარიშში შრომობს.

მწყობრშია „რიკოთი-1"

ბარიდან მთაში — საბაგირო გზით

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს საბაგირო გზათა მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს კოლექტივმა ვადაზე სამი თვით ადრე დაამთავრა სპეციალური სატვირთო საბაგირო გზის „რიკოთი-1"-ის მშენებლობა.

ახალი საბაგირო გზა განკუთვნილია მაღალმთიან მდელოებსა და საძოვრებზე სასოფლო-სამეურნეო ტვირთის მისატანად. საჰაერო-საბაგირო გზის კონსტრუქცია მარტივი და ეკონომიურია, მის მომსახურებას არ სჭირდება მაღალკვალიფიციური პერსონალი. ერთი რეისით მას შეუძლია 250-500 კილოგრამი ტვირთი გადაზიდოს ორ კილომეტრამდე მანძილზე.

გასულ ზამთარში საქართველოს საბაგირო გზათა სამმართველოს კოლექტივმა ჯავის რაიონის სოფელ სოხთაში შეასრულა „რიკოთი-1"-ის გაყვანის ძირითადი სამუშაოები. მშენებლებსა და მემონტაჟეებს დიდი დახმარება გაუწიეს სამოქალაქო ავიაციის ვერტმფრინავების პილოტებმა.

ამ სოფლის მეცხოველეობის ფერმა საბაგირო გზის მეშვეობით ამჟამად უმოკლესი გზით არის დაკავშირებული ძნელად მისადგომ მთის სათიბებთან, რომელთა ფართობი 500 ჰექტარს აღემატება. სეზონში იქიდან დაახლოებით ათას ტონა თივას ჩამოიტანენ, იქ კი აიტანენ მინერალურ სასუქებსა და მცირე მექანიზაციის საშუალებებს.

„რიკოთი-1"-ის ამოქმედება ხელს შეუწყობს მეცხოველეობის საკვები ბაზის შემდგომ განმტკიცებას, შეამცირებს სატრანსპორტო ხარჯებს.

საქართველოს საბაგირო გზათა სამმართველოს კოლექტივი ამჟამად სოფლის მეურნეობისათვის აშენებს გამარტივებული კონსტრუქციის საბაგირო გზებს.

საექსპლოატაციოდ გადაცემული საბაგირო გზა „რიკოთი-1" დაათვალიერეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგემ ს. ე. ხაბეიშვილმა, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. ს. სანაკოევმა.

მათ ახსნა-განმარტებას აძლევდა საქართველოს საბაგირო გზათა მთავარი სამმართველოს უფროსი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი შ. მ. ორჯონიკიძე.

(საქინფორმი).

წინ გადამწყვეტი დღეებია

მეტროპოლიტენის მეორე რიგის ამუშავებამდე

კიდევ რამდენიმე თვე და დედაქალაქის მშრომელთა სამსახურში ჩადგება ახალი ექვსკილომეტრიანი მიწისქვეშა მაგისტრალი. მეტროპოლიტენის მეორე რიგის საექსპლოატაციოდ გადაცემის მოახლოებამ კიდევ უფრო საგრძნობლად აამაღლა ჩვენი პასუხისმგებლობა. ახლა დღითიდღე სულ უფრო მეტად იგრძნობა მშენებელთა შემართება, ქვემოიჯარე ორგანიზაციებიც მეტი მონდომებით საქმიანობენ.

დღეისათვის მშენებარე ხუთი სადგურიდან ოთხში ძირითადად დამთავრდა სამშენებლო სამუშაოები და ახლა მოპირკეთება მიმდინარეობს. სადგურ „დელისის" კომპლექსის დასრულება კი ასამოქმედებელი გრაფიკის შესაბამისად ივნისის შუა რიცხვებისათვის გვაქვს ნავარაუდევი. ამჟამად აქ ელექტრომექანიკურ, განათების, კავშირგაბმულობის, სიგნალიზაციის მოწყობილობათა დამონტაჟება და რადიოფიცირება მიმდინარეობს. ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ერთგვარ შეფერხებას განვიცდით ერთ-ერთი მთავარი კვანძის ელექტროქვესადგურის დამონტაჟების საქმეში, რადგან დროულად ვერ მივიღეთ ზოგიერთი დასახელების ელექტრომოწყობილობა. გარდა ამისა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ უბნის მშენებლებმა განსაზღვრულ ვადებში ვერ უზრუნველყვეს საკუმულატორო სათავსის სრულყოფა.

სადგურ „კომკავშირულზე" თითქმის დამთავრდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. მოსაპირკეთებელი დაგვრჩა დაახლოებით 350 კვადრატული მეტრი ფართობის იატაკი. ამ სადგურს მეორე ესკალატორი ექნება, რომელიც მეტროდან ამომსვლელ მგზავრებს მოემსახურება. მისი მონტაჟი უკვე დამთავრებულია და მზად არის გამოსაცდელად. ამჟამად წარმოებს სადგურის ელექტროქვესადგურის დამონტაჟება. ჯერჯერობით აქაც არა გვაქვს მუდმივი დენის ფარი და გამანაწილებელი მოწყობილობა.

სადგურ „პოლიტექნიკური ინსტიტუტის" კომპლექსისათვის მთლიანად დამთავრდა არქიტექტურული სამუშაოები, მიმდინარეობს მიწისქვეშა სადგურის მხატვრული გაფორმება, რაც სამხატვრო ფონდს აქვს მინდობილი და, ვიმედოვნებთ, საქმეს დროულად მორჩებიან. ამ სადგურს ორი ესკალატორიანი ამოსასვლელი ექნება — ერთი სპორტის სასახლის წინ, მეორე კი პეკინის ქუჩაზე. ორივე ვესტიბიულში მთავრდება არქიტექტურულ-მოსაპირკეთებელი სამუშაოები.

პეკინის ქუჩის მხრიდან დამთავრდა ახალი ტიპის ესკალატორის აწყობა, რომელსაც მალე გამოვცდით. სპორტის სასახლის წინ მდებარე ამოსასვლელის ესკალატორის დამონტაჟებისას ერთგვარმა სირთულემ იჩინა თავი. ეს მექანიზმი ახალი სერიის პირველი მანქანაა, რომელიც თბილისში გადის გამოცდას. მემონტაჟეებმა კარგა ხანია დაამთავრეს ესკალატორის აწყობა, მაგრამ ჯერ კიდევ მრავალი ნაწილი აკლია, რომლებიც ლენინგრადიდან უნდა მივიღოთ. ამასთან მექანიზმის აწყობის პერიოდში თავი იჩინა ე. წ. „საქარხნო დეფექტებმა". ამ ობიექტის ელექტროქვესადგურისათვის ასევე არა გვაქვს ზოგიერთი მოწყობილობა. ანალოგიური მდგომარეობაა სადგურ „წერეთლის გამზირის" ელექტროქვესადგურში. შემკვეთმა ორგანიზაციამ — მშენებარე მეტროპოლიტენის დირექციამ ოპერატიულად უნდა მოგვამარაგოს საჭირო მოწყობილობით. სოლიდური მოცულობის სამუშაოები გვაქვს დარჩენილი სადგურ „წერეთლის გამზირზე". ახლახან დავამთავრეთ ვესტიბიულის გუმბათის დაბეტონება. მთავრდება შესასვლელისა და კიბეების მოპირკეთება. თვით სადგურში კი მთავრდება მარჯვენა კედლის კონსტრუქციების დამონტაჟება. მშენებლებმა რაც შეიძლება დროულად უნდა დაამთავრონ ბაქნის ქვეშ მდებარე სათავსების მოწყობა, რათა შეუფერხებლად ვაწარმოოთ სამონტაჟო სამუშაოები.

ამჯერად ერთ-ერთი უმთავრესი კვანძი „ვაგზლის მოედნის" მეორე გადასასხდომი სადგურია. მის მშენებლობას მოგვიანებით შევუდექით და ამ საკმაოდ რთული კომპლექსის სრულყოფა ერთობ შემჭიდროებულ ვადებში უნდა შევძლოთ. ამჟამად მთელი ჩვენი საუკეთესო ძალები აქ არის თავმოყრილი. მშენებლობა ორ უბანს აქვს მინდობილი. ვესტიბიულს ერთი უბანი აგებს, ხოლო მიწისქვეშა კომპლექსს — მეორე. სამუშაოები გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს. სადგურის ნაწილში ძირითადად დასრულებულია გვირაბგასაყვანი სამუშაოები. მთავრდება საბაქნე ნაწილის რკინა-ბეტონის კონსტრუქციებით დამონტაჟება. 15 მაისს დამთავრდა სადგურის თაღის ჰიდროიზოლაცია.

სპეციფიკა და შრომატევად სამუშაოთა მოცულობა ჯერ კიდევ ბევრ უბანზე მოითხოვს მშენებელთა ძალების დიდ დაძაბვას. ამ ობიექტის ელექტროქვესადგურში დამთავრდა გასაყვანი სამუშაოები და წარმოებს შიგაკონსტრუქციების მოწყობა. იგება მატარებლების სიჩქარის ავტომატური მარეგულირებელი მოწყობილობა-დანადგარებისათვის განკუთვნილი მიწისქვეშა საკანი. აქ დამონტაჟებული მოწყობილობა მოემსახურება მატარებლების მოძრაობის ინტერვალების გაზრდა-შემცირების საქმეს. ასეთი რამ პირველად ხორციელდება თბილისის მეტროპოლიტენში და იგი ტექნიკურ პროგრესთან არის დაკავშირებული.

ჩვენთვის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ამჟამად მიწისქვეშა ლიანდაგის სწრაფი და ხარისხიანი გაყვანა-დაბეტონებაა. დღეისათვის მარცხენა გადასარბენ გვირაბში დაბეტონებულია 4,6 კილომეტრი გზა, ხოლო მარჯვენაში — 4 კილომეტრი. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის დიდი დახმარება, რომელიც ამ საქმეში გაგვიწია ამიერკავკასიის რკინიგზის გზის სამსახურის კოლექტივმა (უფროსი — ვ. გოგიჩაიშვილი). რკინიგზელებმა გამოგვიყვეს რელსების შემდუღებელი მატარებელი, რამაც ხელი შეგვიწყო მარჯვენა გვირაბში ჩვენივე ძალებით შევდგომოდით რელსების შედუღებას.

თბილისის მეტროპოლიტენის მეორე რიგის მშენებლობა მინდობილი აქვს თბილისგვირაბმშენის ორ სამეურნეო ერთეულს — № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებელს (უფროსი — გ. ბარაბაძე) და № 5 საგვირაბო რაზმს (უფროსი — რ. ჭელიძე). მშენებელთა დასახმარებლად თავიანთი წარმომადგენლები გამოგზავნეს თბილისგვირაბმშენის № 9 და № 13 საგვირაბო რაზმებმა (უფროსები — გ. ჯაყელი, გ. ყიფიანი). მეორე რიგის მშენებლობის საქმეში თავიანთ სიტყვას ამბობენ აგრეთვე თბილისგვირაბმშენის დამხმარე სამეურნეო ერთეულები, აგრეთვე, ქვემოიჯარე ორგანიზაციები.

მაგრამ ზოგიერთი ორგანიზაციისადმი სერიოზული პრეტენზიები გვაქვს. კერძოდ, სამრეწველო ვენტილაციის სამმართველომ მოგვიანებით დაიწყო საქმიანობა და ამიტომ მეტი ტემპია საჭირო, რათა დროულად დაამთავრონ სამუშაოები. განსაკუთრებით ჩამორჩებიან სადგურები „პოლიტექნიკური ინსტიტუტი" და „კომკავშირული". საქელექტრომონტაჟის სამმართველოს გარექსელის სამუშაოების საწარმოებლად ცალკე უბანი აქვს შექმნილი. ამ უბანმა ძირითადი კვების კაბელები უნდა მიიყვანოს ქალაქის ელექტროქვესადგურებიდან მეტროპოლიტენის ქვესადგურებამდე. დაწყებული სამუშაოები არ დაუმთავრებიათ მტკვრის მარჯვენა სანაპიროსა და ქავთარაძის ქუჩაზე. ამასთან ერთობ აგვიანებენ კაბელის შემაერთებელი ქუროების ჩასხმას.

მეტრომშენებლებს რესპუბლიკის საწარმოები რიტმულად აწვდიან მარმარილოსა და გრანიტს, ცემენტსა და ინერტულ მასალას.

მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა მაინც გვირაბმშენებელთა კოლექტივს ეკუთვნის. ეს კარგად აქვთ შეგნებული იმ ბრიგადების წევრებს, რომელთაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. ზარქუა, სოციალისტური შრომის გმირები გ. ობოლაძე და კ. ლუბავსკი, თ. კაჩმაზოვი, ლ. ბალიაშვილი, ზ. მიმინოშვილი, ი. გიგოლაევი, ა. დათაშვილი, უ. დავითიძე, მ. შუკვანი, ნ. მოლაკელიძე, გ. დარსაველიძე, გ. ქუმარიტაშვილი, ლ. გობეჯიშვილი და სხვები ხელმძღვანელობენ.

მონდომებით საქმიანობენ გამოცდილი ინჟინრები ს. ჭურაძე, ბ. შალიკაშვილი, ლ. ტუღუში, ი. მიქუჩაძე, დ. გურგენიძე, მ. ამბოკაძე და კ. ჯაფარიძე, რომელთა უნარიან ხელმძღვანელობაზე ბევრად არის დამოკიდებული წარმატება.

ახლა თითოეულ დღეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. რიტმული, ორგანიზებული საქმიანობა იმის გარანტიას იძლევა, რომ მალე მწყობრში ჩავაყენოთ მეტროს ახალი ხაზი.

ვ. გოცირიძე,
თბილისგვირაბმშენის სამმართველოს უფროსი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

მეცხოველეობას — მთელი გულისყური!

დოვლათსა და ბარაქას მუყაითი შრომა ქმნის!

კომპლექსებს — მაღალი ეფექტიანობა!

მეცხოველეობის კომპლექსები	სახელმწიფოსათვის ხორცის ან რძის მიყიდვა (ტონა)	საშუალო სადღეღამისო წონამატი (გრამი) წველადობა (კგ) ძროხისა	1 ცენტნერი ხორცის ან რძის თვითღირებულება (მან.)	1 ც. წონამატის, რძის წარმოებაზე გაწეული შრომის დანახარჯები (კაცსაათი)	1 ც. წონამატის, რძის წარმოებაზე გაწეული საკვების დანახარჯები (ცენტ. საკ. ერთ.)
ძროხის ხორცის წარმოება					
ჯანდარის	260	545	257	20,0	11,0
წნორის	261	626	173	18,0	13,7
ღორის ხორცის წარმოება					
კრწანისის	104	382	246	16,0	10,5
გიორგიწმინდის	52	255	325	37,0	9,7
რძის წარმოება					
სართიჭალის	323	570	30,1	7,5	1,5
თელეთის	350	561	22,4	3,2	1,6
გაგრის	164	833	31,7	4,3	1,4
მარტყოფის	203	492	41,0	9,0	1,6
მუღანლოს	171	398	28,2	5,1	2,0
გარეჯის	31	367	40,3	10,0	2,4

ახორციელებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებს, რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები მთელ პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას ახმარენ მეცხოველეობის ყველა დარგის დინამიკური განვითარების უზრუნველყოფას, სამრეწველო საფუძველზე მის გადაყვანას, რათა უახლოეს წლებში მკვეთრად გაზარდონ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

რესპუბლიკაში მეცხოველეობის კომპლექსების ფართო მშენებლობა სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

ცხრილი, რომელიც ამ მასალას წინ უძღვის, ასახავს სამრეწველო მეცხოველეობის კომპლექსების წარმოებისა და ეკონომიკის მაჩვენებლებს 1979 წლის 1 აპრილისათვის.

მოქმედი სახელმწიფო კომპლექსების საპროექტო სიმძლავრე შესაძლებლობას გვაძლევს ყოველწლიურად ვაწარმოოთ დაახლოებით 8 ათასი ტონა ძროხის ხორცი, 3 ათასი ტონა ღორის ხორცი და 1 ათასი ტონა რძე, მაგრამ დღემდე მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, ვერც ერთმა კომპლექსმა ვერ მიაღწია საპროექტო სიმძლავრეს.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით ძროხის ხორცის წარმოება კომპლექსებში 390 ტონით, ღორის ხორცისა — 214 ტონით გაიზარდა.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საშუალო სადღეღამისო წონამატება გაიზარდა 330 გრამით, ღორისა — 50 გრამით.

მაგრამ უკვე მიღწეული ეს ტემპიც ვერ უზრუნველყოფს კომპლექსების საპროექტო პარამეტრებს.

ანალოგიური მდგომარეობაა მერძევეობის კომპლექსებშიც.

ნელი ტემპით მიმდინარეობს სართიჭალისა და გარეჯის კომპლექსების ძროხებით დაკომპლექტება.

რძის თვითღირებულებით საპროექტო დონეს ვერ მიაღწია ვერც ერთმა კომპლექსმა. 12 მანეთით აღემატება პროექტით გათვალისწინებულ რძის თვითღირებულებას სართიჭალის კომპლექსში, 3 მანეთით — თელეთის კომპლექსში, ორჯერ დიდია იგი გაგრისა და მარტყოფის კომპლექსებში.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, „საქცხოველმრეწვის“ რესპუბლიკურმა გაერთიანებამ, მეურნეობებისა და კომპლექსების ხელმძღვანელებმა დროულად და ღრმად უნდა გააანალიზონ მეცხოველეობის კომპლექსების საწარმოო საქმიანობის შედეგები და განახორციელონ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა უთუო შესრულების კონკრეტული ღონისძიებანი.

გავზარდოთ სახორცე ფერმების ნაყოფიერება

ამა წლის 1 მაისისათვის ღორის საშუალო სადღეღამისო წონა-მატებამ საგარეჯოს რაიონში 165 გრამი შეადგინა — თითქმის 2,5-ჯერ ნაკლები დავალებით გათვალისწინებულთან შედარებით. ამავე დროს ქვეყნის მოწინავე მეურნეობებში, მაგალითად, ომსკის ოლქში, ამ მაჩვენებელმა 500 გრამს გადააჭარბა.

მთლიანად რესპუბლიკაში დავალებანი შეასრულა მხოლოდ 6 რაიონმა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა.

ამავე დროს 44 რაიონმა, აფხაზეთის ასს და აჭარის ასს რესპუბლიკებმა ვერ მიაღწიეს ღორის საშუალო-სადღეღამისო წონამატების დაგეგმილ დონეს, ხოლო მცხეთის, წალკის, თეთრი წყაროს, თიანეთის, ამბროლაურის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის რაიონებმა 200 გრამ წონამატებას — დავალების ნახევარსაც კი ვერ მიაღწიეს. თუმცა ერთნაირ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში არიან, მაგრამ ცხაკაიას რაიონის მეურნეობებმა შეასრულეს ღორის წონამატების გეგმები, აბაშის რაიონის მეურნეობებს კი ნორმამდე 225 გრამი დააკლდათ.

ანალოგიური არასახარბიელო მდგომარეობა შეიქმნა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საშუალო-სადღეღამისო წონამატებასთან დაკავშირებით.

ქვემოთ ვბეჭდავთ ცხრილს, რომელიც გვიჩვენებს რესპუბლიკაში პირუტყვის საშუალო-სადღეღამისო წონამატების დავალების შესრულების მდგომარეობას.

1979 წლის 1 მაისისათვის პირუტყვის საშუალო სადღეღამისო წონამატების დავალების შესრულება

რაიონები	საშუალო სადღეღამისო წონამატება			
	მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი		ღორი	
	გეგმა	ფაქტ.	გეგმა	ფაქტ.
ახალქალაქის	600	550	400	321
ბოგდანოვკის	600	563	—	—
ახალციხის	550	548	450	444
ადიგენის	500	334	400	512
ასპინძის	500	410	300	—
ხაშურის	500	242	500	359
ქარელის	500	167	500	442
გორის	500	623	400	209
კასპის	500	321	400	233
ბორჯომის	500	466	400	—
საგარეჯოს	500	119	400	165
გურჯაანის	600	108	400	220
სიღნაღის	600	401	400	248
წითელწყაროს	600	267	400	254
თელავის	500	450	500	344
ახმეტის	500	289	400	374
ყვარლის	500	213	450	225
ლაგოდეხის	600	406	400	266
გარდაბნის	600	430	400	335
მცხეთის	500	148	400	182
მარნეულის	500	215	400	211
ბოლნისის	500	203	400	298
წალკის	500	349	400	191
დუშეთის	400	188	400	460
თეთრი წყაროს	500	301	400	185
დმანისის	500	506	400	255
თიანეთის	400	232	400	187
ყაზბეგის	—	—	—	—
სამხრეთ ოსეთის აო	400	276	300	351
ქ. წყალტუბოს ზონა	400	216	400	269
სამტრედიის	600	493	450	358
წულუკიძის	400	467	400	316
ვანის	400	359	400	316
მაიაკოვსკის	400	258	400	216
ზესტაფონის	400	138	400	475
თერჯოლის	400	541	400	332
ქ. ჭიათურის ზონა	400	240	400	280
საჩხერის	500	329	450	324
ორჯონიკიძის	400	305	400	313
ქ. ტყიბულის ზონა	400	228	400	358
ონის	400	—	400	—
ამბროლაურის	400	201	400	168
ცაგერის	400	235	400	265
ლენტეხის	500	441	450	561
აბაშის	500	217	400	175
ცხაკაიას	500	258	400	407
გეგეჭკორის	400	91	400	202
ზუგდიდის	500	432	400	262
ხობის	500	139	400	238
წალენჯიხის	450	303	400	213
ჩხოროწყუს	400	268	400	213
მახარაძის	400	242	400	234
ლანჩხუთის	400	101	400	192
ჩოხატაურის	400	217	400	105
მესტიის	400	—	400	—
აფხაზეთის ასსრ	400	175	400	305
აჭარის ასსრ	400	323	400	264
სულ რესპუბლიკაში	500	345	400	260

(საქინფორმი)

სათვალავშია ყოველი საათი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმმა მეცხოველეებს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად დაუსახა გაზარდონ პირუტყვის სულადობა როგორც საზოგადოებრივ მეურნეობებში, ისე მოსახლეობაში. საზოგადოებრივი მეურნეობები ჩვენი ეკონომიკის საფუძველია. სწორედ აქ წყდება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების პრობლემა. უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში აშენდა სახორცე და სარძეო მიმართულების მსხვილი სპეციალიზებული კომპლექსები, ბევრი რამ გაკეთდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საკვები ბაზის, ფერმების ეკონომიკის განმტკიცებისათვის. გაიზარდა მოსახლეობის პირადი სარგებლობის პირუტყვის სულადობა. მარტო შარშან სოფლის მშრომელებმა გამოზრდისა და სუქებისათვის მიიღეს რამდენიმე ათეული ათასი გოჭი, მილიონობით წიწილა, ათიათასობით ტონა კომბინირებული საკვები. მოსაწონია გამოცდილება, რომელიც შეიძინეს თერჯოლის რაიონში კოლმეურნეთა პირად მეურნეობაში არსებული პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფის საქმეში.

როგორც ანალიზი მოწმობს, მიმდინარე წლის დამდეგიდან რესპუბლიკის მეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯოგი გაიზარდა 3.117 სულით გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. გადიდდა ღორის, ცხვრის, ფრინველის სულადობა. შეიქმნა რეალური შესაძლებლობანი იმისათვის, რომ მიმდინარე წელს მეცხოველეებმა შეასრულონ ძირითადი ამოცანა — სახელმწიფო შესყიდვა ყველა კატეგორიის მეურნეობაში გაზარდონ: პირუტყვისა და ფრინველისა — 144,5 ათას ტონამდე, რძისა — 268,5 ათას ტონამდე, კვერცხისა — 456 მილიონ ცალამდე.

მაგრამ მთელ რიგ რაიონებში, მეურნეობებში პირუტყვის სულადობა შემცირდა.

ცხვრისა და თხის სულადობა შემცირდა 12 რაიონსა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში. ყველაზე მეტი შემცირებაა ცაგერის რაიონის მეურნეობებში, სადაც ცხვრისა და თხის რიცხვი თითქმის სანახევროდ შემცირდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

ფრინველის რიცხვი შემცირდა 15 რაიონში, აგრეთვე აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში. ამბროლაურის რაიონში, მაგალითად, შარშან ფრინველი იყო 4,5 ათასი სული, წელს მხოლოდ 3,1 ათასია.

საუკეთესო მეურნეობათა გამოცდილება მოწმობს, რომ რესპუბლიკის ფერმების მშრომელებს აქვთ პოტენციური შესაძლებლობანი, რათა კიდევ უფრო გაზარდონ პირუტყვის სულადობა. იქ, სადაც დროზე იზრუნეს ფერმებში სამუშაოთა ორგანიზაციისათვის, შექმნეს მაღალხარისხოვანი საკვების მარაგი, წარმატებებსაც მიაღწიეს. ამიტომ ახლა, როცა მეცხოველენი საზაფხულო ესტაფეტას იღებენ, უნდა გააანალიზონ და დაუყოვნებლივ აღმოფხვრან ჩამორჩენილ მეურნეობებში პირუტყვის სულადობის შემცირების მიზეზები, გადაიღონ მოწინავე კოლექტივების მუშაობის გამოცდილება და, სანამ გვიან არ არის, ყოველი ღონე იხმარონ ფერმების საკვების სადაზღვევო მარაგით უზრუნველყოფისათვის. ერთი სიტყვით, დღეს მეცხოველეების ვალია მაქსიმალურად გამოიყენონ ყოველი დღე, ყოველი საათი.

მოგვყავს საზოგადოებრივ მეურნეობებში პირუტყვის სულადობის ცხრილი 1979 წლის 1 მაისისათვის.

ძროხა

(სული)

რაიონი	1979 წელი	1978 წელი
ადიგენის	2808	2851
გორის	4267	4393
საგარეჯოს	2789	2927
ყვარლის	1566	1610
მცხეთის	2235	2345
თეთრი წყაროს	5012	5093
სამხრეთ ოსეთის აო	10843	11112
სამტრედიის	2272	2309
ვანის	1143	1167
ქ. გუდაუთის	1559	1585
ონის	2622	2742
რესპუბლიკა	186036	182772

ღორი

(სული).

რაიონი	1979 წელი	1978 წელი
ახალციხის	2625	2804
გორის	6913	7503
კასპის	6475	7200
წითელწყაროს	25517	26815
ახმეტის	15061	15500
ვანის	950	2325
ზესტაფონის	2813	3483
ქ. ჭიათურა	2921	3052
საჩხერის	3820	4192
აბაშის	9847	11930
ჩოხატაურის	3319	3447
რესპუბლიკა	365188	327445

ცხვარი და თხა

(ათასობით სული).

რაიონი	1979 წელი	1978 წელი
ბოგდანოვკის	142,0	148,0
გორის	6,2	6,9
ქარელის	3,5	6,2
კასპის	18,2	20,2
ბორჯომის	14,1	15,8
გურჯაანის	16,9	19,0
ბოლნისის	19,9	20,9
წალკის	33,9	35,8
დმანისის	32,4	33,2
ონის	1,8	2,0
ცაგერის	1,7	3,2
წალენჯიხის	1,8	2,3
აფხაზეთის ასსრ	11,5	12,8
რესპუბლიკა	1805,0	1779,0

მოქცეული

(ათასობით სული).

რაიონი	1979 წელი	1978 წელი
ახალციხის	17,9	18,6
კასპის	24,9	34,8
გურჯაანის	19,7	20,1
წითელწყაროს	128,8	171,0
ლაგოდეხის	41,0	42,1
მცხეთის	20,3	22,1
დუშეთის	27,9	29,1
თეთრი წყაროს	30,4	40,8
დმანისის	8,7	10,0
ვანის	2,7	7,7
ონის	2,5	2,7
ამბროლაურის	3,1	4,5
ჩხოროწყუს	12,9	16,0
ლანჩხუთის	11,2	11,5
ჩოხატაურის	12,5	13,1
აფხაზეთის ასსრ	413,0	442,0
რესპუბლიკა	2772,3	2555,5

(საქინფორმი).

საქმემ გამოარჩინა

ზუგდიდის რაიონის ინგირის ლენინის ორდენოსანი ჩაის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები გულმოდგინედ შრომობენ. სარწყავი სისტემების გასწვრივ განლაგებულ ნაკვეთებში მოსავლის აღებაზე საბჭოთა მეურნეობის მექანიკოსები გამოიყენებენ თვითმავალ შასებს ჩაის საკრეფ მანქანა „ჩა-900“-ს სასხლავი აგრეგატით. საბჭოთა მეურნეობის რაციონალიზატორთა ეს კონსტრუქცია ჩაის ფოთლის მხოლოდ ცალი მხრიდან კრეფის საშუალებას იძლევა, ჩვეულებრივი სერიული მანქანა კი, როგორც ცნობილია, ერთდროულად ჩაის ფოთოლს ორი შპალერიდან კრეფს.

ასეთ მანქანაზე მუშაობა დაევალა ახალგაზრდა კომუნისტს ავთანდილ ქარჩავას, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ საბჭოთა არმიის რიგებიდან დაბრუნდა. ამჟამად იგი მეურნეობის ერთ-ერთი საუკეთესო მექანიზატორია.

სურათზე: ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ახალგაზრდა მექანიზატორი ავთანდილ ქარჩავა.

ი. ჟოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული, ქმედითი კონტროლი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებთან არსებული პარტიული კომისიების თავმჯდომარეთა თათბირ-სემინარი, რომელზეც სჯა-ბაასი იყო რესპუბლიკის პარტიულ ორგანოებთან არსებული პარტიული კომისიების მუშაობის პრაქტიკისა და ამოცანების შესახებ. სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, იმ დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად, რომლებსაც შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმზე.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარემ შ. დ. ყარყარაშვილმა.

მოხსენებასა და გამოსვლებში საგანგებოდ აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი ზუსტ და ქმედით კონტროლს, მინდობილი სამუშაო უბნისათვის ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებას. აღინიშნა, რომ გაუმჯობესდა ამ მიმართულებით საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებთან არსებული პარტიული კომისიების საქმიანობა. პარტიული კონტროლის ეფექტიანობის ამაღლებაში, აღინიშნა თათბირ-სემინარზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, რომელშიც კვლავ ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საჭიროა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლის ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიება.

თათბირ-სემინარზე გამოვიდა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის წევრი გ. ი. ოსიპოვი.

თათბირ-სემინარზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა. (საქინფორმი).

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის აქტივისტები

რუსთავში გაიმართა მეცნიერულ-ტექნიკური საზოგადოებების საბჭოების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური სემინარი.

სემინარი გახსნა საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ლ. ხარბედიამ. შავი მეტალურგიის მეცნიერულ-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარემ მ. მინდელმა სემინარზე ილაპარაკა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეცნიერულ-ტექნიკური საზოგადოების საბჭოს მუშაობის შესახებ. ნოვატორთა შემოქმედებითი მუშაობის, მათ მიერ წამოყენებული ღონისძიებების განხორციელების შედეგად საწარმომ გასულ წელს დამატებით 609 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

ქუთაისელ ავტომშენებელთა ინიციატივით, როგორც განმარტა ქარხნის მეცნიერულ-ტექნიკური საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნ. კობერიძემ, განისაზღვრება ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების გადამეტებით მზა პროდუქციის გამოშვების გადიდების შიდასამეურნეო რეზერვების მაქსიმალური გამოყენების კონკრეტული ღონისძიებანი.

მეცნიერულ-ტექნიკურ საზოგადოებათა წევრების ინიციატივის გავრცელებაში პროფკავშირული ორგანიზაციების როლის შესახებ ილაპარაკა საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ლაკიამ.

მოხსენება „პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება წარმოების რეზერვების ძიების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა“ გააკეთა კვების მრეწველობის მეცნიერულ-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარემ რ. ჩხაიძემ, საწარმოებში წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონის ამაღლებას შეეხო საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ. აბდუშელიშვილი.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე ბ. ბარსუკოვი.

* * *

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ზ. ჩხეიძის შეხვედრა სემინარის მონაწილეებთან (საქინფორმი).

მწყობრში დგებიან მხატვარი და პოეტი

სიცხე ოცდაათ გრადუსს აღწევდა. ისინი კი გაუნძრევლად იდგნენ პაპანაქებაში და სიგნალს ელოდებოდნენ. და როცა სიგნალი გაისმა, მათ ყველაფერი გვიჩვენეს, რაც კი უსწავლიათ ჯარში ყოფნის დროს. ისინი არ ეპუებოდნენ ცეცხლს, გაბედულად ებმებოდნენ ხელჩართულ ბრძოლაში, ცხელ ჰაერს აპობდა მათი ავტომატების ცეცხლი. ტანკები მოიწევდნენ მათ წინააღმდეგ, ისინი კი ყუმბარსატყორცნებს უშენდნენ ჯავშანს და ტანკებიც ჩავდებოდნენ ადგილზე...

ეს სასწავლო ბრძოლა იყო და მან გვიჩვენა თანამედროვე ახალგაზრდა მეომრის მაღალი საბრძოლო გაწვრთნილობა, ჩინებული ფიზიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური თვისებები. ეს „ბრძოლა“ დიდხანს იქნება მოსაგონარი კიდევ იმიტომ, რომ მასში მონაწილეობდნენ სამოც-სამოცდაერთ წლებში დაბადებული ჭაბუკები — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მებრძოლები. მათ ცხადყვეს ცოდნისა და ჩვევების რა დიდ მარაგს უნდა ფლობდეს დღევანდელი ჯარისკაცი, რომ თავი გაართვას სამშობლოს დაცვისათვის მზადების სულ უფრო მზარდ ამოცანებს.

მინდვრისპირას იდგა „სამოქალაქო“ ტანსაცმელში გამოწყობილი ადამიანების ჯგუფი: მხატვრები, მწერლები, კინემატოგრაფისტები, მუსიკოსები, რომელთა უმრავლესობამ ახალგაზრდობა დიდი სამამულო ომის ბრძოლის ველზე გაატარა.

— მე თვითონ მიომია, მინახავს ნამდვილი ბრძოლები, მაგრამ სასწავლო ბრძოლამ დაგვანახვა, რა შორს წავიდა ჩვენი ტექნიკა, რაოდენ მაღალია ჩვენი ჯარისკაცებისა და ოფიცრების წრთობა, — გაგვიზიარა შთაბეჭდილება საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა გ. ციციშვილმა.

ეს დღე კი ასე დაიწყო. რამდენიმე საათით ადრე რესპუბლიკის შემოქმედებითი კავშირების წარმომადგენლები თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის საგამოფენო დარბაზში ათვალიერებდნენ ფრონტელი მხატვრების ნაწარმოებთა ექსპოზიციას. ორმოცდაათზე მეტი ტილო ასახავდა დიდი სამამულო ომის ეპიზოდებს, მხედრული და შრომითი დღეების გმირებს. მეზობელ დარბაზში წარმოდგენილია ახალგაზრდა მეომრების, ომის ვეტერანების შვილებისა და შვილიშვილების ნამუშევრები. აქ არის ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება.

სწორედ ამ ექსპოზიციის დათვალიერებით დაიწყო საქართველოს შემოქმედებითი კავშირების წარმომადგენელთა შეხვედრა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქების ხელმძღვანელ შემადგენლობასთან. მათ თავი მოიყარეს „მრგვალი მაგიდის“ გარშემო, რათა ერთმანეთისათვის გაეზიარებინათ აზრი „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პრაქტიკულ შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

პრეზიდიუმში იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე, რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ა. ალექსიძე, გ. გვეტაძე, ვ. ქარუმიძე, ვ. ხინთბა, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი, პოლიტსამმართველოს უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ა. ოვერჩუკი, გენერალ-ლეიტენანტი დ. შკრუდნევი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის პოლიტგანყოფილების უფროსი გენერალ-მაიორი მ. ჩერედილოვი, რესპუბლიკის შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელები.

დარბაზში შეკრებილიყვნენ მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, კინემატოგრაფისტები, საბჭოთა არმიის ოფიცრები, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა გ. ენუქიძემ.

გაცხოველებულ დისკუსიას ტონი მისცა ა. ოვერჩუკის მოხსენებამ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად ლიტერატურისა და ხელოვნების საშუალებებით ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის თაობაზე.

სამხედრო პატრიოტულ თემაზე შექმნილ ნაწარმოებთა შორის საპატიო ადგილი უკავია ქართველი ავტორების ნამუშევრებს. ამ თემას ხშირად მიმართავენ ფუნჯის, კალმის, მუსიკისა და კინოს საუკეთესო ოსტატები. მათ შორის არის მწერალი კ. ლორთქიფანიძე, დიდი სამამულო ომის მონაწილე, ლენინის ორდენის, სამი წითელი დროშის ორდენისა და ორი წითელი ვარსკვლავის ორდენის კავალერი. თავის ნაწარმოებებში სამხედრო-პატრიოტული თემის აქტიურად დამუშავებისათვის სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა და საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსმა კ. ლორთქიფანიძე დააჯილდოვეს წამახალისებელი დიპლომითა და სახელობითი ოფიცრის დაშნით.

ოცდათხუთმეტი წლის წინ ქართველმა რეჟისორმა ი. კანდელაკმა შექმნა ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმი „ჰიტლერის ავანტიურის დასასრული კავკასიაში“. წითელი არმიის ნაწილებში ამ კინო-ფილმის წარმატებას მოწმობს წერილი, რომელშიც მე-18 სადესანტო არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი პოლკოვნიკი ლ. ი. ბრეჟნევი საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ატყობინებდა: „გთხოვთ მუშაკთა კოლექტივს ჩვენი სახელით უსურვოთ ახალი შემოქმედებითი წარმატებები სამშობლოს სიდიადის, წითელი არმიის ძლიერების ამსახველი დოკუმენტური ფილმების შექმნაში. ყოველ ასეთ ფილმს წვლილი შეაქვს საძულველ მტერთან ბრძოლისა და საბოლოო გამარჯვების საქმეში“.

მას შემდეგ ქართველმა კინემატოგრაფისტებმა არაერთი ფილმი შექმნეს საბჭოთა ადამიანების, შეიარაღებული ძალების მეომრების მასობრივი გმირობის შესახებ დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, ხოლო რეჟისორ რ. ჩხეიძის „ჯარისკაცის მამა“ მსოფლიო კინოხელოვნების მოვლენად იქცა.

ამ მიმართულებით ნაყოფიერად მუშაობენ ჩვენი მხატვრებიც და მოქანდაკეებიც.

მუსიკაში სამხედრო-პატრიოტულ თემას ფართოდ ავითარებენ კომპოზიტორები, სსრ კავშირის სახალხო არტისტები ა. ბალანჩივაძე და ო. თაქთაქიშვილი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ო. თევდორაძე და სხვ.

შეხვედრაზე ქებით მოიხსენიეს ჩვენი თეატრალური მოღვაწეებიც. ა. ფადეევის რომანის მიხედვით დადგმული სპექტაკლისათვის „ახალგაზრდა გვარდია“ გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივს მიენიჭა სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს გამგეობისა და საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს პრემია, ხოლო თეატრის რეჟისორი ი. კაკულია და ბევრი მსახიობი დაჯილდოვდა ცნობილი საბჭოთა მსახიობის ა. პოპოვის სახელობის ვერცხლის მედლით.

საღამოზე კრიტიკული შენიშვნებიც გამოითქვა: საჭიროა სამხედრო-პატრიოტული თემის უფრო ღრმა და მკაფიო გაშუქება.

თანამედროვეებისა და მომავალი თაობების წინაშე შემოქმედის მაღალ პასუხისმგებლობაზე ილაპარაკეს საქართველოს კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ნ. გურაბანიძემ, რესპუბლიკის მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ნ. ჯანბერიძემ, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა გ. ციციშვილმა, რესპუბლიკის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მდივანმა ნ. მამისაშვილმა და გენერალ-მაიორმა მ. ჩერედილოვმა.

თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლში გამართული დისკუსიის მონაწილეებმა განაზოგადეს შეძენილი გამოცდილება, განსაზღვრეს მომავლის გეგმები და დათქვეს ტრადიციად დაამკვიდრონ ასეთი შეხვედრები.

დღე დამთავრდა სასწავლო პოლიგონზე ახალგაზრდა მებრძოლების, მეთაურებისა და პოლიტმუშაკების, მომავალ ნაწარმოებთა გმირების წრეში.

(საქინფორმი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის თ. ს. შარაძენიძის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

მრავალი წლის მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თინათინ სიმონის ასული **შარაძენიძე „საპატიო ნიშნის“ ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი.
1979 წლის 25 მაისი.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით:

სამრეწველო, სამშენებლო ორგანიზაციებსა და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქარხნო რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ნოდარ გიორგის ძე **ხომერიკი** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, გორის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. არჩილ სოლომონის ძე **ჯირკველიშვილი** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

განათლების და ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ რედაქტორი ამხ. არჩილ ივანეს ძე **დავითიანი** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უფროსი ინსტრუქტორი ამხ. ნოდარ პავლეს ძე **მანჩხავა** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

საგაზეთო წერილში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ცეკავშირის სარევიზიო ბრიგადის მიერ უხარისხო, ერთდღიანი შემოწმების შედეგად თანამდებობიდან გაათავისუფლეს ყვარლის საზოგადოებრივი კვების გაერთიანების დირექტორი ა. ციბაძე, რომელიც ამ პოსტზე მუშაობის მთელ მანძილზე კარგად ართმევდა თავს სახელმწიფო დავალებების შესრულებას და პირადად, როგორც ხელმძღვანელი მუშაკი, არასოდეს ყოფილა შემჩნეული ანგარებით გადაცდენაში და არც ადმინისტრაციული სასჯელი ჰქონია დადებული.

წერილის იდეა ის იყო, რომ, ერთი მხრივ, გვეჩვენებინა, თუ როგორ იოლად, გულგრილად წყვეტენ ზოგჯერ ადამიანების, საშუალო რგოლის ხელმძღვანელი მუშაკების ბედს და, მეორე მხრივ, თუ როგორ არღვევენ ზოგჯერ ცეკავშირის საკონტროლო-სარევიზიო სამსახურის ცალკეული მუშაკები საშემსრულებლო დისციპლინას. ამ უკანასკნელ საკითხზე ყურადღება იმიტომაც გავამახვილეთ, რომ ამ რამდენიმე თვის წინათ მსგავსი დარღვევების შესახებ იმსჯელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის საკოორდინაციო კომისიამ და ამის თაობაზე „კომუნისტმა" 1978 წლის 23 დეკემბერს წერილიც გამოაქვეყნა სათაურით „აქტები... ბითუმად".

ციბაძის საჩივარმა რედაქცია იმითაც დააინტერესა, რომ კადრებთან მუშაობის საკითხზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მზადების პერიოდში, კონკრეტული მაგალითით გვეჩვენებინა, თუ როგორ არ უნდა ვეკიდებოდეთ კადრებს, იმ უნარიან, წრფელ ადამიანებს, რომლებიც თავის დროზე მომსახურების რთულ სფეროში მოვიზიდეთ, მხარში ამოგვიდგნენ და შემდეგ ასე უბრალოდ გავიმეტეთ.

განაწყენდნენ...

გაზეთ „კომუნისტის" 16 მაისის ნომერში დაბეჭდილ წერილზე „განთავისუფლებული მუშაობის... გაუმჯობესებისათვის" ამბიცია და განაწყენებაა პასუხად, რომელიც ცეკავშირმა რედაქციას აცნობა უმალ, 18 მაისს.

მოსალოდნელი იყო, რომ ცეკავშირის გამგეობა საჭირო დასკვნებს გამოიტანდა, დაკვირვებულად, დინჯად გააანალიზებდა „კომუნისტის" 16 მაისის ნომერში დაბეჭდილ წერილში მოყვანილ ფაქტებს, ჩასწვდებოდა მის მთავარ აზრსა და დანიშნულებას და ისე უპასუხებდა რედაქციას. სამწუხაროდ, ამ უწყების ხელმძღვანელებმა სტატიას ა. ციბაძის ქომაგობის ვიწრო პოზიციებიდან შეხედეს, და ნაჩქარევი პასუხი გაამზადეს.

თუმცა ძნელია ამას საქმის ინტერესებით ნაკარნახევი პასუხი უწოდო. იგი კოლექტიურ საჩივარს უფრო ჰგავს, რომელსაც ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე და ექვსი წევრი აწერს ხელს, ალბათ მისი კოლექტიური ნააზრევის დასტურად, თანაც ზედმიწევნით ამბიციურია. პასუხი საკმაოდ ვრცელი და სიტყვაუხვია და ამიტომ იმ ძირითად არგუმენტებსა და მტკიცებებს შევეხებით, რომლებითაც გაზეთი უნდა გამტყუნდეს.

ა. ციბაძის განთავისუფლების მთავარ მოტივად მოჰყავთ ოთხ ობიექტზე გამოვლენილი დარღვევები, რომლებიც სხვათა შორის, წერილის ავტორისათვის ცნობილი იყო, რამდენადაც იგივე ფაქტები ცეკავშირის გამგეობის დადგენილებაშია მოყვანილი. აი ისინიც: „რესტორან „ყვარელში" მიმტან ნ. დოლმაზაშვილს შემოწმების დღეს ნავაჭრი ჰქონდა 185 მანეთი, მომხმარებელზე კი გამოწერილი იყო მხოლოდ ერთი ანგარიში 9 მანეთი და 56 კაპიკი, რაც **იმას უნდა ნიშნავდეს,** (ხაზგასმა და ფრჩხილები აქ და შემდგომ რედაქციისა), რომ დანარჩენი თანხა „საკუთარი ჯიბისათვის" ნავაჭრს წარმოადგენს. ობიექტში ანტისანიტარია სუფევდა, საკონტროლო ჟურნალში ამოხეული იყო ფურცლები და ა. შ. საჩაიეში თევზის კონსერვ „სკუმბრიაზე" გამოცხადებული იყო ფასი 1 მან. და 20 კაპ. ნაცვლად 92 კაპიკისა. რეალიზაციაში იყო არაყი „ექსტრა", რომლის გაყიდვის ნება მათ არ ჰქონდათ. გაყიდვაში არ იყო რძისა და საკონდიტრო ნაწარმი.

რესტორან „ალაზანში" 13 საათზე არც ერთი სახეობის ცივი და ცხელი კერძი არ იყო მომზადებული. ბუფეტში გაყიდვაში ჰქონდათ ღვინო „ჰერეთი" საზკვების დამღის გარეშე, **რაც სრულ საშუალებას აძლევს** მებუფეტეს თავისუფლად შემოიტანოს საცალო სავაჭრო ქსელიდან აღნიშნული პროდუქცია...

სოფ. გავაზის სასადილოში 15 საათზე მომხმარებელზე არცერთი ქვითარი არ იყო გამოწერილი. კალკულაციებს და მენიუს არ ჰქონდა გამგისა და მზარეულის ხელმოწერა, მაკონტროლებელი ფორმა № 64 საერთოდ არ აღმოაჩნდათ, სასადილოში იყო ანტისანიტარიული მდგომარეობა. ამრიგად საზკვების შემოწმებულ ოთხსავე ობიექტში ე. ი. 100 პროცენტში გამოვლინებული იქნა ვაჭრობის წესების უხეში დარღვევები".

აქ გვინდა ვკითხოთ პასუხის ავტორებს, ნუთუ შემმოწმებლები ვალდებული არ იყვნენ ეჭვები — **„ეს იმას უნდა ნიშნავდეს", „რაც სრულ საშუალებას აძლევს"** — გაეფანტათ, ადგილზევე დაეზუსტებინათ ანგარების ზემოაღნიშნული ფაქტები და სათანადო აქტებიც გაეფორმებინათ, წესისამებრ შეეტანათ საკონტროლო ჟურნალებში? ისინი ხელუხლებელი დევს ამჟამად რესპუბლიკის პროკურატურაში.

ამის თაობაზე კი პასუხში არაფერია ნათქვამი და დარღვევათა დამადასტურებელ ერთადერთ დოკუმენტად სარევიზიო ბრიგადის მოხსენებითს ბარათს მიიჩნევენ. ბრიგადის ხელმძღვანელისა და ერთ-ერთი წევრის მიერ ბარათის ხელმოუწერლობას რატომღაც მხოლოდ უყურადღებობას მიაწერენ. „აღნიშნული მოხსენებითი ბარათი სინამდვილეა, შედგა მისი (რეიდის ხელმძღვანელის დ. პულუზაშვილის) მონაწილეობით და მასზე ხელმოუწერლობა უყურადღებობაა". გამოდის, რომ ციბაძის მთელი ცოდვა-ბრალის დასამტკიცებელ დოკუმენტზე ხელმოუწერლობა უყურადღებობაა, ხოლო კალკულაციებსა და მენიუზე მზარეულის ან გამგის ხელმოუწერლობა — უხეში დარღვევა? აბა, სადაური ლოგიკაა!

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ცეკავშირის ხელმძღვანელებს, ეტყობა, სიჩქარის გამო საგაზეთო წერილი კარგად ვერ წაუკითხავთ, თორემ შენიშნავდნენ, რომ იქ გარკვევით წერია: ვაჭრობის სფეროში დაშვებული თუნდაც უმნიშვნელო დარღვევისათვის კონკრეტულმა დამნაშავემ საკადრისადაც უნდა აგოს პასუხი, და არა ასე ჰაიჰარად ვხსნიდეთ რაიონული მასშტაბის ხელმძღვანელებს ხელმოუწერელი „უტყუარი საბუთებით". მით უმეტეს, რომ როგორც თვითონ გვწერენ, „ა. ციბაძის ხელმძღვანელობის პერიოდში საზკვების გაერთიანება მართლაც ასრულებდა საგეგმო დავალებებს, რაც ცეკავშირის გამგეობას საკითხის განხილვისას **მხედველობიდან არ გამორჩენია და მასზე იყო მსჯელობა** (რის შედეგადაც კაცის ბედი გადაწყდა?). იმის გათვალისწინებით, რომ საზკვებაში ძირითად პრობლემად ცეკავშირის გამგეობას მიჩნეული აქვს არა საგეგმო მაჩვენებლები, არამედ სწორედ ვაჭრობის წესებისა და ამ რთულ უბანზე წესრიგის დამყარების საქმე, ამიტომ გამგეობამ მიიღო **მკაცრი გადაწყვეტილება**".

საგაზეთო წერილიც განა იმას არ მიუთითებს, რომ გაუმართლებელი სიმკაცრეა გამოჩენილი? ახლა საჭირო ხდება სიმკაცრის გამართლება და მოწერილობაში ქვემოთ ვკითხულობთ: „კოოპვაჭრობის დირექტორად მუშაობისას ციბაძეს დიდად თავი არ გამოუჩენია, 1976 წლის პირველი ნახევარი ზარალით დაამთავრა, საქონელზე შესასყიდი და გასასყიდი ფასების დამტკიცება ხდება დიდი დაგვიანებით; საქონლის ჩამოწერაზე აქტებს აფორმებენ არასწორად.

მაშ ყოველივე ამის შემდეგ ასეთი „უვარგისი" მუშაკი თვითონვე როგორღა დააწინაურეს რაიონული საზოგადოებრივი კვების გაერთიანების დირექტორად? ან კიდევ თუ გეგმების შესრულებას მუშაკის შესაფასებლად ძირითადი მნიშვნელობა არა აქვს, მაშინ რატომ დასჭირდათ საზოგადოებრივი კვების ახლანდელი დირექტორის დასახასიათებლად სწორედ ამ მაჩვენებლის, 1979 წლის პირველი კვარტალის გეგმების შესრულების მოშველიება და არაფერს ამბობენ 1978 წლის გეგმის ჩავარდნაზე, სახელმწიფოსათვის მიყენებულ ზარალზე, რაზეც წერილში ნათქვამი იყო? ამასთან შეგვიძლია ცეკავშირის ამხანაგებს შევახსენოთ, რომ ა. წ. 18 მაისს, სწორედ იმ დღეს, როცა ჩვენ მათი პასუხი მივიღეთ, რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნდა მასალა ყვარლის რაიონში გამოვლენილი დაახლოებით ამგვარივე დარღვევების შესახებ. ნუთუ ახლად დანიშნული გ. ბაღაშვილიც მოიხსნება; მით უმეტეს, რომ ციბაძისაგან განსხვავებით იგი ადრეც არაერთხელ ყოფილა გაზეთში გაკრიტიკებული

პასუხის ავტორთ არ მოსწონთ ჩატარებული რეიდის შესაფასებლად ნახმარი სიტყვა „ბლიცშემოწმება", გვეკითხებიან, „საინტერესოა კორესპონდენტი შემოწმების სხვა რომელი ფორმის რეკომენდაციას იძლევაო".

გიპასუხებთ: რეკომენდაციას ვაძლევთ პარტიის მიერ ნაკარნახევ და მითითებულ ფორმას. ის კი ასეა ჩამოყალიბებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმზე: „კონტროლის ორგანოების ორგანიზატორული ფუნქციების ამაღლება სერიოზული პრობლემაა, რადგან როგორც ეს, სამწუხაროდ, ზოგჯერ ხდება ხოლმე, არ შეიძლება მათი ფუნქციების გაიგივება იმასთან, რომ მხოლოდ აღმოაჩინონ რაიმე დარღვევები, აღრიცხონ ისინი და მოახსენონ სადაც ჯერ არს. ამოცანა ის არის, რომ ეს სამსახურები თან აკონტროლებდნენ და თან ეხმარებოდნენ სხვებს ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში. საკითხი ასე უნდა დაისვას: ყველგან, სადაც კი მივლენ ყველა სამსახურისა და ყველა სახეობის კონტროლის მუშაკები, არ უნდა წავიდნენ იქიდან, სანამ სრულ წესრიგს არ დაამყარებენ".

ცეკავშირში, როგორც ჩანს, საერთოდ სადირექტივო მითითება თავისებურად ესმით, როცა გვწერენ „წერილის ავტორი მაღალფარდოვანი სიტყვებით ეფარება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მე-8 პლენუმის ტრიბუნას, ავიწყდება, რომ პარტიისა და მთავრობის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა შესასრულებლად ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში სამინისტროებისა და უწყებების, მით უმეტეს ისეთი მძიმე უწყების როგორიცაა ცეკავშირი, ხელმძღვანელობას დახმარება და თანადგომა სჭირდება და არა დეზორგანიზაცია".

საკითხავია რა მაღალფარდოვნებაზეა ლაპარაკი ან როდის აქეთ გახდა გაზეთის ფურცლებზე გამოთქმული კრიტიკა დეზორგანიზაციად, არსებული ნაკლოვანებების დაფარვა ხელმძღვანელობისათვის თანადგომად?

ცეკავშირის გამგეობის პასუხში არის ასეთი სტრიქონები, რომ ნეგატიური მოვლენები რაიკოოპერატივის „ყვარლის საზოგადოებრივი კვების გაერთიანებაში დადგენილი იყო ჯერ კიდევ 1976 წლის 9 ოქტომბერს, 1977 წლის 25 ივლისს, 28 და 30 ნოემბერს, მათ შორის ისეთი მძიმე დანაშაულობები, როგორიცაა უფაქტურო საქონლით ვაჭრობა, იმის გათვალისწინებით, რომ ამხ. ა. ციბაძე შედარებით ახალი მუშაკი იყო (ე. ი. განთავისუფლებამდე 10 დღით ადრე), ამ დარღვევებისათვის იმ პერიოდში პერსონალურად არ დასჯილა".

მაშ, რა მოხდა ათი დღის შემდეგ?

და კიდევ „1977 წლის 10 დეკემბერს იგივე საკითხი (რეიდის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგები) განიხილა რაიკოოპერატივის გამგეობამ და უმკაცრესად დასაჯა კონკრეტულად დამნაშავე პირები".

თუ როგორ დაისაჯნენ — აი ამონაწერი ყვარლის რაიკოოპერატივის გამგეობის 1978 წლის 13 ნოემბრის ცნობიდან: „რესტორან „ყვარლის" **მიმტანი** ნ. დოლმაზაშვილი ამჟამად მუშაობს ყვარლის „ალაზნის" რესტორანში **მებუფეტედ**; რესტორან „ყვარლის" **დირექტორი** ა. საქუაშვილი მოხსნილია თანამდებობიდან. იგი ამჟამად მუშაობს ყვარლის რაიკოოპერატივის დამხმარე მეურნეობის ფერმის **გამგედ**".

რაღა გამოდის? კონკრეტული დამნაშავენი ფაქტიურად დააწინაურეს, გაერთიანების დირექტორი კი დღესაც უმუშევარია. განა ყოველივე ეს იმას არ გვაფიქრებინებს, რომ ვინმე შესაძლოა დაინტერესებული იყო გაერთიანების დირექტორის ადგილით?

რა შუაშია ორაზროვნება და ცილისწამება, რასაც გაზეთის კორესპონდენტს აბრალებენ?

„ამის შემდეგ გამგეობა იტოვებს უფლებას გამოთქვას ეჭვი, რომ ხომ არ ხდება პირიქით, ავტორი (ე. ი. კორესპონდენტი) ხომ არ დაინტერესდა „რაიმეთიო".

რაღა გვინდა ეჭვიანობა, პირდაპირ გეტყვით ამ დასაინტერესებელ „რაიმეზე".

ილუზიაა, თითქოს ნეგატიურ მოვლენებს კადრების დარბევა უშველის მხოლოდ, უნდა გაქრეს. აი, რა ითქვა ამიერკავკასიის რკინიგზის აქტივის კრებაზე: „პატივცემულო ამხანაგებო, ნუთუ ვერ ამჩნევთ, ასე ვთქვათ, საბედისწერო დამთხვევას, — რაც უფრო ხშირად სჯით ადამიანებს, მით უფრო ხშირად ირღვევა დისციპლინა? განა მოვალენი არა ხართ ჩაუფიქრდეთ ამას? დიდი ხანია ცნობილია, რომ ძალაუფლება ბასრი იარაღია და მის გამოყენებას დიდი სიფაქიზე, ოსტატობა და ჭკუა სჭირდება".

ამ ცხოვრებისეულ დაკვირვებას თუ არ გავდევით, მარჯვნივ და მარცხნივ კეტი თუ ვიქნიეთ, საფრთხის წინაშე აღმოვჩნდებით, ვინაიდან იმის შეგნებას, რომ ხვალ იოტისოდენასაც არ გაპატიებენ და არც გეგმების შესრულებას ჩაგითვლიან დიდ გმირობად, შეუძლია უკურეაქცია გამოიწვიოს და დაცემების, მფლანგველობის, გამოძალვის მრუდე გზაზე უბიძგოს მუშაკს, აფიქრებინოს — „დაე სანამ ვარ, მოვასწროო". ეს რომ არ მოხდეს — აი ამაშია მთელი ჩვენი დაინტერესება.

ერთ კაცზე ორი ამხელა წერილის დაბეჭდვის აუცილებლობა კვლავ ცხადყოფს, რომ ამბიცია არასოდეს ყოფილა კეთილი მრჩეველი და მეგზური.

თუმცაღა ადამიანურად, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ამბიციის საწყისის მოძებნა ძნელი არ არის.

არა თუ დაუნახაობა, უსამართლობა და შეცდომა იქნებოდა უგულებელყოს ვინმემ ის დიდი, არსებითი, შესამჩნევი და ხელშესახები ძვრები, რაც ცეკავშირს ახასიათებს ამ ბოლო წლებში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობითა და ხელშეწყობით, ძალისა და ენერგიის მაქსიმალური გაღებით, დაძაბული სადღეღამისო მუშაობის შედეგად რესპუბლიკის ამ ერთ-ერთი რთული და საარსებო სისტემის მუშაკებმა ახალი, გამოცდილი თავკაცობით დიდი ღვაწლი დასდეს რესპუბლიკის ეკონომიკის აღმავლობას, მშრომელებს გული მოუბრუნეს, შეხედულება შეაცვლევინეს ადრე სახელგატეხილ დარგზე. მაგრამ ეს არავის არ აძლევს უფლებას ასე მტკივნეულად, პარტიული პოზიციების დათმობამდეც კი, შეხვდეს ცალკეულ ნაკლოვანებათა კრიტიკას.

თუ კვლავ მაღალფარდოვნებაში არ ჩამოგვერთმევა, მოვიყვანთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მერვე პლენუმის თვალსაზრისს კადრებთან მუშაობის საკითხზე: „მოთმინებით და გულმოდგინედ აღვზარდოთ კადრები, სრულვყოთ მათი საქმიანი და პოლიტიკური თვისებები, პრაქტიკულად შევამოწმოთ ისინი და გავუსწოროთ, როცა საჭიროა. ეს მარტივი და იოლი პროცესი როდი გახლავთ — ეს საქმე დიდ რუდუნებას, გულისხმიერ და მზრუნველ დამოკიდებულებას მოითხოვს".

საერთაშორისო ცხოვრება
დედამიწის ზურგზე

დიდი ინტერესი

სსრ კავშირის ეროვნული გამოფენა ლონდონში

ლონდონი. (საქდესის კორ.). **აქ მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის ეროვნულმა გამოფენამ, რომელიც ეწყობა დევიზით „მშვიდობა და პროგრესი თანამშრომლობის გზით". გამოფენის პირველი დამთვალიერებლები დიდი ინტერესით გაეცნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის წერილს.**

გამოფენის გახსნისას, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ნ. ს. პატოლიჩევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლ. ი. ბრეჟნევის წერილი კიდევ ერთხელ მოწმობს საბჭოთა ხელმძღვანელობის მტკიცე გადაწყვეტილებას კვლავაც განავითაროს ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა დიდ ბრიტანეთთან მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესის გაღრმავებისათვის. მან გამოთქვა იმედი, რომ სსრ კავშირის ეროვნული გამოფენა წვლილს შეიტანს საბჭოთა და ინგლისელი ხალხების უკეთესი ურთიერთგაგების საქმეში.

დიდი ბრიტანეთის ვაჭრობის მინისტრმა ჯ. ნოტმა აღნიშნა, რომ გამოფენა ინგლისელებს საშუალებას მისცემს გაეცნონ საბჭოთა ადამიანების მიღწევებს ეკონომიკის, კულტურისა და სხვა დარგებში. მან გამოთქვა რწმენა, რომ ექსპოზიცია დიდ ინტერესს გამოიწვევს და დამთვალიერებლები გულთბილად შეხვდებიან მას.

გამოფენის გახსნის ცერემონიას ესწრებოდნენ თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწეები, ინგლისის საქმიანი წრეებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში ნ. მ. ლუნკოვი.

ლონდონის უდიდეს საგამოფენო დარბაზში „ერლს ქორთში" წარმოდგენილია საბჭოთა ხალხის აღმშენებლობითი შრომის ამსახველი 8 ათასზე მეტი ექსპონატი. მრავალრიცხოვანი ფოტოსურათები ასახავენ საბჭოთა კავშირისა და ინგლისის ურთიერთთანამშრომლობის ჩამოყალიბებისა და განმტკიცების ისტორიას. სპეციალურ სტენდზე გამოფენილია „სტალინგრადის მახვილი" — მეფე გეორგ მე-6-ის საჩუქარი სტალინგრადის მამაცი დამცველებისადმი.

გამოფენის დამთვალიერებლებს შეუძლიათ პირადად დარწმუნდნენ საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდეს წარმატებებში. აქ წარმოდგენილია „ტოკამაკ-10" თერმობირთვული დანადგარის, ელექტროსადგურების მაკეტები, აგრეთვე ლაზერის აპარატურა. „პარიატის" დარბაზში გამოფენილია სამეცნიერო-კვლევითი სადგური, „სალიუტისა" და კოსმოსური ხომალდის „სოიუზის" მაკეტები, კოსმოსური სივრცის კვლევისათვის გათვალისწინებული სხვა თანამედროვე ტექნიკა.

გამოფენის დიდ განყოფილებაში ასახულია საბჭოთა ცხოვრების წესის სხვადასხვა მხარეები, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის დებულებათა განხორციელება. აქ არის ბელორუსიისა და საქართველოს სს რესპუბლიკების პავილიონები, რომელთა ექსპონატები თვალსაჩინოდ ცხადყოფენ, თუ როგორ ხორციელდება ლენინური ეროვნული პოლიტიკა.

დამთვალიერებლებს შეუძლიათ „იმოგზაურონ" სსრ კავშირის უკიდეგანო სივრცეებში, ნახონ ორი ახალი საბჭოთა ქალაქის — პოლარულ წრეში მდებარე ნორილსკისა და ყიზილყუმის უდაბნოში მდებარე ნავოის მშვენიერი დიორამები, აგრეთვე მოსკოვის შთამბეჭდავი პანორამა.

გამოფენა დამთვალიერებლებს მოუთხრობს აგრეთვე, როგორ მუშაობენ, სწავლობენ და ისვენებენ საბჭოთა ადამიანები. სპეციალური განყოფილებები დამთვალიერებლებს აცნობენ სსრ კავშირის ხალხთა კულტურასა და ხელოვნებას, აგრეთვე წიგნის ბეჭდვის საქმეს. გამოფენაზე წარმოდგენილია რუსეთის პირველი ნაბეჭდი წიგნები, უნიკალური ფოტოასლები წიგნებისა ვ. ი. ლენინის პირადი ბიბლიოთეკიდან, სსრ კავშირში გამოცემული ინგლისელი ავტორების ნაწარმოებები. ოლიმპიურ ნაგებობათა მრავალრიცხოვანი მაკეტები ასახავენ, თუ როგორ ემზადება მოსკოვი 1980 წლის ოლიმპიური ასპარეზობისათვის.

გამოფენა 10 ივნისამდე გასტანს.

ქვეყნები, დედაქალაქები

ობიექტივში ეთიოპია

მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება ეთიოპიის უძველეს მიწა-წყალზე, ფეოდალურ-მონარქიული რეჟიმის დამხობის შემდეგ ეთიოპიელმა ხალხმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა შინაურ და გარეშე რეაქციის ძალებზე, შეინარჩუნა ქვეყნის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა, დაამტკიცა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის იდეალების ერთგულება.

სურათზე: ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბების ცენტრში.

საქდესის ფოტოქრონიკა.

საღი აზრი, თუ...

ვაშინგტონი, (საქდესი). **რაც უფრო ახლოვდება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების საბოლოო ეტაპი, შეერთებულ შტატებში ძლიერდება ბრძოლა ამერიკის სენატის მიერ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების მომავალი რატიფიკაციის საკითხის გარშემო.**

სამხედრო დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგენი აღვივებენ პროპაგანდისტულ კამპანიას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების წინააღმდეგ, რათა შეაჩერონ კონგრესის ზედა პალატაში ხელშეკრულების გავლა იმ საბაბით, რომ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ შეთანხმება თითქოს შეესაბამებოდეს მხოლოდ საბჭოთა კავშირის ინტერესებს და „საფრთხეს უქმნიდეს ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროებას".

სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების მოწინააღმდეგეებთან პოლემიკის დროს პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა გუშინ განაცხადა, რომ ეს ხელშეკრულება შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შესაძლებლობას მისცემს მომავალში გადადგან ახალი ნაბიჯი ორი ქვეყნის მშვიდობიანი ურთიერთობის განვითარების გზაზე. ხელშეკრულება შეესაბამება მთელ მსოფლიოში მშვიდობის საუკეთესო ინტერესებს, თქვა მან.

სენატის საგარეო საქმეთა კომისიის შეკითხვის საფუძველზე თვალსაჩინო ამერიკელ ექსპერტთა ჯგუფმა მოამზადა მოხსენება „ბირთვული ომის ეფექტი". იგი საცნობარო სახელმძღვანელო უნდა გახდეს ამერიკელი კანონმდებლებისათვის, რომლებიც განიხილავენ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების მეორე ეტაპის ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხს.

სენატორ ე. კენედის აზრით, ეს მოხსენება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმების უტყუარი შეფასების პერსპექტივას იძლევა, რადგან საქმე ეხება ცივილიზაციის შენარჩუნებას.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის დამქაშ სენატორთა ჯგუფმა ყოველკვირეული „ნიუს ენდ უორლდ რიპორტის" ფურცლებზე აშკარად გაილაშქრა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ეტაპის წინააღმდეგ იმ საბაბით, თითქოს ეს ხელშეკრულება საფრთხეს უქმნიდეს ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროებას.

კუდმოკვეცილი რეფორმა

ვაშინგტონი, 24 მაისი. (საქდესის კორ.). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა კონგრესის განსახილველად შეიტანა სოციალური დახმარების სისტემის მთავრობისეული რეფორმის მორიგი ვარიანტი. იგი ითვალისწინებს ღარიბი ამერიკელებისადმი სოციალური დახმარების სახელმწიფო ხარჯების ერთგვარ გადიდებასა და უმუშევართა შრომითი მოწყობისა და მათი პროფესიული სწავლების პროგრამების განხორციელებას. პრეზიდენტის მიერ შეტანილი დოკუმენტი ითვალისწინებს აგრეთვე მფლანგველობის, ყალთაბანდობისა და მთავრობის შესაბამისი ორგანიზაციების შეცდომების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს.

კონგრესისადმი მიმართვაში პრეზიდენტი აღიარებს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ახლა არსებული ღარიბებისადმი სოციალური დახმარების სისტემა „არასაკმარისი და უსამართლოა მილიონობით ამერიკელი კი ჯერ კიდევ სიღატაკეში ცხოვრობს".

პოლიტიკურ წრეებში მთავრობის „რეფორმა" მიაჩნიათ ადმინისტრაციის მორიგ დემაგოგიურ ტრიუკად, რომელიც ცდილობს როგორმე იხსნას თავისი შელახული პრესტიჟი მოახლოებული პრეზიდენტის მორიგი არჩევნების წინ.

საბჭოთა დელეგაცია ავსტრალიაში

[illegible], 25 მაისი. (საქტაგი). ავსტრალიაში [illegible] საბჭოთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე პ. გ. გილაშვილი, ჩამოვიდა ვიქტორიის შტატის მთავარ ქალაქ მელბურნში.

საბჭოთა დელეგაციის წევრები შეხვდნენ შტატის მინისტრს ლ. ტომპსონსა და ოპოზიციის ლიდერს ფ. უილქსს. საუბრის დროს მხარეებმა განაცხადეს, რომ ესწრაფვიან ორი ქვეყნის ხალხთა შორის კონტაქტების განვითარებას და მეგობრული ურთიერთობის გაფართოებას.

მოკლედ

ყოველი მხრიდან

25 მაისი

თეირანი. ირანის ბევრ ქალაქში გაიმართა მასობრივი დემონსტრაციები იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ერევა ამ ქვეყნის საშინაო საქმეებში, სამხედრო მზადება აქვს გაჩაღებული სპარსეთის ყურის რაიონსა და ინდოეთის ოკეანეში. მრავალათასიანი მიტინგებისა და მსვლელობის მონაწილეებმა მოითხოვეს ბოლო მოეღოს ამერიკის იმპერიალიზმის ხრიკებს ირანსა და ახლო აღმოსავლეთში.

ლონდონი. ეგვიპტეში ჩავიდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ვენსი. მანამდე მას ლონდონში მოლაპარაკება ჰქონდა ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბეგინთან. ალექსანდრიაში ვენსი შეხვდება პრეზიდენტ სადათს, აგრეთვე ისრაელის ქალაქ ბერ-შევაში მონაწილეობას მიიღებს კაიროსა და თელ-ავივის მოლაპარაკებაში, რომელიც ეძღვნება მდინარე იორდანის დასავლეთ, ისრაელის მიერ ოკუპირებულ ნაპირზე და ღაზის სექტორში ეგრეთ წოდებული „ადმინისტრაციული ავტონომიის" რეჟიმის დამყარების საკითხს.

ტოკიო. „მოისპოს სამხედრო ბაზები, დავიცვათ მშვიდობიანი მომავალი!" — ამ ლოზუნგებით ქალაქ კავასაკიში გაიმართა მიტინგი, რომელიც მოაწყვეს მშვიდობის მარშის მონაწილეებმა. ტოკიოდან სამშვიდობო მარშმა გადაინაცვლა ხიროსიმაში და ახლა კანაგავის პრეფექტურაში მიმდინარეობს. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზების ლიკვიდაციის საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია ამ პრეფექტურის მცხოვრებლებისათვის, რომლის ტერიტორიაზე განლაგებულია ამერიკის შეერთებული შტატების მეშვიდე ფლოტის უდიდესი ბაზა ქალაქ იოკოსუკაში, სამხედრო-საჰაერო ბაზა აცუგაში, ამერიკის შეერთებული შტატებისა და იაპონიის „თავდაცვის ძალების" სხვა ბაზები. (საქდესი).

ჩინური კედლის მიღმა

მილიტარიზაციის გზით

სინხუას სააგენტო იუწყება, რომ ჩინეთის უდიდეს ინდუსტრიულ ცენტრში — შანხაიში მიმდინარეობს მიწისქვეშა ნაგებობების — თავშესაფრების, ქარხნების, სასტუმროების, მაღაზიების ფართო მშენებლობა, რომლებიც ერთმანეთთან გვირაბებით არიან დაკავშირებული. როგორც ჩინეთის პრესა ადასტურებს, ამგვარი მშენებლობა მთელ ჩინეთში მიმდინარეობს. ჩინეთი ახლა მსოფლიოს ერთადერთი სახელმწიფოა, რომელიც გაძლიერებით უწევს პროპაგანდას ახალი მსოფლიო ომის გარდუვალობას.

ომისათვის დაჩქარებული მზადების კურსი ჩინეთში გამოცხადებულია, როგორც გრძელვადიანი სახელმწიფო პოლიტიკა: ეს ჩაწერილია კონსტიტუციაში, რომელიც მიიღეს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების პირველ სესიაზე 1978 წლის მარტში. ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ხუა გოფენმა ამ სესიაზე აშკარად განაცხადა: „ჩვენ უთუოდ უნდა ვიყოთ მზად ომისათვის".

პეკინის ახლანდელი ლიდერები ფაქტიურად მთლიანად ასრულებენ მაო ძედუნის საგარეო-პოლიტიკურ კურსს და ერთგული არიან ომის საკითხებში მისი იდეური მემკვიდრეობისა. ისინი გამმაგებით ცდილობენ შეასრულონ „დიდი მესაჭის" ძირითადი მილიტარისტული დებულებანი, განახორციელონ ომისათვის ქვეყნის მომზადების, მილიტარისტულ სახელმწიფოდ მისი გადაქცევის კურსი. ამავე დროს პეკინის ახალი ხელმძღვანელობა ცდილობს „შეასწოროს" ექსტრემისტული მეთოდები და ლოზუნგები, რომლებმაც განსაკუთრებით სახელი გაიტეხეს წარსულში.

ასეთი „შესწორების" ცდაა პეკინში წამოყენებული „ოთხი მოდერნიზაციის" ლოზუნგი, რომელიც სინამდვილეში ნიშნავს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარება დაექვემდებაროს სამხედრო პოტენციალის ზრდის ამოცანებს. ამ ლოზუნგის განხორციელების დროს აშკარა უპირატესობა ენიჭება არმიის „მოდერნიზაციას" სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, მეცნიერებისა და ტექნიკის „მოდერნიზაციასთან" შედარებით. მაოისტებს არაერთგზის აღუნიშნავთ, რომ ეკონომიკის სხვადასხვა დარგის განვითარებამ უპირველესად ყოვლისა უნდა უზრუნველყოს „ომისათვის მზადების" საჭიროება.

მაგალითად, ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარემ ძიანინმა აღნიშნა, რომ საჭიროა „მრეწველობის ძირითადი დარგების დაჩქარებული განვითარება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ფოლადის წარმოებას, რომ შეიქმნას თავდაცვითი მრეწველობის მძლავრი ბაზა".

დასავლეთის პრესის მონაცემების თანახმად, მეცნიერული ძიებისათვის გათვალისწინებული კაპიტალდაბანდების მეტ ნაწილს დღეს ჩინეთში იყენებენ ბირთვული კვლევის დარგში, ანუ ბირთვული იარაღის გაუმჯობესებისათვის. სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების ზემოთ აღნიშნულ სესიაზე ხუა გოფენმა მოუწოდა გააძლიერონ და ყოველმხრივ აღჭურვონ არმია თანამედროვე იარაღით. და ეს მარტო მოწოდებები როდია. მაო ძედუნის სიკვდილის შემდეგ უკვე მოხდა მთელი რიგი ბირთვული აფეთქებანი. ახლანდელ ჩინეთში სერიოზულ ყურადღებას უთმობენ ძირითად სახეობათა იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის არსებული ნიმუშების დახვეწასა და ახალი ნიმუშების შემუშავებას. სწორედ ამით აიხსნება უშუალო სამხედრო ხარჯების მუდმივი ზრდა, რაც ახლა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის 40 პროცენტზე მეტს შეადგენს. მაოისტები აცხადებენ, რომ არმიისათვის ხარჯები მომავალშიც უნდა იზრდებოდეს.

თავისი სამხედრო ძლიერების სწრაფი ზრდისათვის ლიდერები თანხმდებიან იმპერიალისტთა წინაშე ქედის მოხრას, ისინი აპირებენ ფართოდ გამოიყენონ დასავლეთის უახლესი სამხედრო ტექნიკა და ტექნოლოგია. ჩინეთის დელეგაციები იყვნენ ლონდონში, პარიზში, სტოკჰოლმში, ბრიუსელში, რომში, ბონში, ტოკიოში. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობდნენ რაკეტმშენებლობის, ელექტრონიკის, ავიაციის, ტანკმშენებლობის დარგის სიახლეებს.

იტალიაში პეკინელი მუშტრები დაინტერესდნენ „ხომალდ-ხომალდისა" და „ჰაერ-ჰაერის" ტიპის სარაკეტო იარაღით. ისინი დაინტერესდნენ ინგლისური „ჰარიერის" ტიპის თვითმფრინავებით, ფრანგული „მირაჟის" ტიპის ავიაგამანადგურებლებით, „ამხ-30" ტანკებით. როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" წერს, ჩინეთმა საფრანგეთში უკვე შეისყიდა ტანკსაწინააღმდეგო „ჰოტის" რაკეტების დიდი პარტია, ხოლო რამდენიმე წლის წინათ ინგლისში ნაყიდი „როლს-როისის" ფირმის რეაქტიული ძრავები გათვალისწინებულია ახალი ჩინური ავიაგამანადგურებლისათვის.

პეკინი დიდ ინტერესს იჩენს ამერიკისა და იაპონიის ისეთი სამოქალაქო ტექნიკისადმი, რომლის გამოყენებაც შეიძლება სამხედრო საქმეში. ამერიკაში ჩინეთის დელეგაციას მოლაპარაკება ჰქონდა „სიკორსკი" კომპანიის დიდძალი ვერტმფრენავების შესყიდვის თაობაზე, რომლითაც შეიძლება დესანტის გადაყვანა 30-მდე კაცის შემადგენლობით. „ლოკჰიდის" ფირმასთან მოეწყო მოლაპარაკება „ს-141" სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავების შესახებ.

როგორც ამერიკის ჟურნალი „ტაიმი" იუწყება, დასავლეთის სამხედრო ტექნიკის შესყიდვისათვის ჩინეთს განზრახული აქვს დახარჯოს 10 მილიარდი დოლარი.

ჩინეთის მილიტარიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოვლინებაა შეიარაღებული ძალების გაძლიერებული როლი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამას მოწმობს, კერძოდ, მოვლენები, რომლებიც მიმდინარე წლის აპრილში მოხდა პეკინსა და სხვა ქალაქებში, სადაც არმია პოლიციასთან ერთად ახშობდა მოსახლეობის გამოსვლებს სამხედრო-ბიუროკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ.

ამას მჭევრმეტყველურად მოწმობს ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების შემადგენლობაც. ჩინეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ახლა 45 პროცენტი სამხედროა, ხოლო პოლიტბიუროში — თითქმის 60 პროცენტი. ცენტრალური კომიტეტი არსებითად გადაქცეულია ორგანოდ, რომელიც გამოხატავს არმიის ზედაფენის ინტერესებს. იგი პრაქტიკულად კონტროლს უწევს ქვეყნის ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა სფეროს, რაც შეეხება სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების ახლანდელ შემადგენლობას, რომელიც სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა, დეპუტატთა 14 პროცენტს არმია შეადგენს. აპრილის დამლევს პეკინში ტყუილად როდი გაჩნდა დაძიბაოები, რომლებიც შეიცავდნენ მოთხოვნებს „მკაცრი ღონისძიებანი განეხორციელებინათ იმ მიზნით, რომ არმია გამოეყვანათ პოლიტიკური სფეროდან და ამრიგად ხელი შეეშალათ იმისათვის, რომ გარკვეულმა ძალებმა შეძლონ მისი საშუალებით ხელთ იგდონ ძალაუფლება".

თავისი ექსპანსიონისტური, ჰეგემონისტური მიზნების რეალიზაციისათვის პეკინს სჭირდება საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავება. იგი არაფერს არ თაკილობს, რომ ჩაშალოს სოციალისტური თანამეგობრობის, თანამედროვეობის რევოლუციური, განმათავისუფლებელი ძალების პოზიციები, რომლებიც იბრძვიან დაძაბულობის შენელებისათვის. ხოლო იმისათვის, რომ მათთვის ხელმისაწვდომი გახდეს ნატოს სამხედრო არსენალები, ჩინეთის მმართველები ყოველნაირად უკეთებენ დასავლეთის წინაშე რეკლამას თავიანთ მტრულ დამოკიდებულებას სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნებისადმი, იბრძვიან თავშეუკავებელი გამალებული შეიარაღებისათვის.

ჩინეთის ხელმძღვანელები არ სჯერდებიან მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიებში უშუალო ხელყოფასაც. განა ამას არ მოწმობს ჩინეთის ამასწინანდელი აგრესია ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ? პეკინის მტრობას ყოველივე იმისადმი, რასაც შეიძლება მოჰყვეს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცება, მოწმობს მისი გადაწყვეტილებაც არ გაახანგრძლივონ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის 1950 წელს ხელმოწერილი მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ლიდერები, რომლებიც ჩინეთს სოციალისტურ ქვეყანას უწოდებენ, სინამდვილეში ადგანან პოლიტიკურ კურსს, რომელიც სულ უფრო მეტად განისაზღვრება ჰეგემონისტური მისწრაფებებით, მსოფლიო კაპიტალიზმთან სულ უფრო მეტი დაახლოებით. პეკინი, რომელიც დაადგა მშვიდობის, სოციალიზმისა და ეროვნული განთავისუფლების საქმისადმი მტრულ პოზიციებს, იმპერიალიზმის უშუალო დამქაშად გადაიქცა.

იოსებ ნონეშვილი

გამარჯობათ, ბასკებო!..

ორიოდე დღეა დავბრუნდი ესპანეთიდან. შევხვდი ცნობილ ესპანელ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს მადრიდში, ბარსელონაში, გრენადაში, სევილიაში.

ამ ორი წლის წინათ ლამისყანაში, გურამიშვილობაზე, ესპანელი მწერლებიც გვყავდნენ. მადრიდში, ერთ-ერთ შემოქმედებითს შეხვედრაზე, შეკითხვის პასუხად, თუ როგორ მომწონს ესპანეთი, ვუპასუხე: ძალიან მომწონს, ძალიან ჰგავს ჩემს სამშობლოს, მგონი, საქართველოში ვიმყოფები-მეთქი. და აი, საქვეყნოდ გასაგონად (შემდეგ ბევრმა გაზეთმა გაიმეორა მისი ნათქვამი) სწორედ იმ მწერალმა, რომელიც საქართველოში იმყოფებოდა — ესპანეთის მწერალთა ასოციაციის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გილერმო დიას პლახამ — განაცხადა: საქართველო ესპანეთის უკეთესი ვარიანტიაო..

ადვილად ვერ გიამბობთ ესპანურ შთაბეჭდილებებს, სხვა დროს კვლავ დავუბრუნდები ამ თემას.

რა გინდ კარგიც უნდა ყოფილიყო ესპანეთი, მე გული ბასკებისაკენ მიმიწევდა. მით უფრო, რომ დღემდე არც ერთ ქართველ პოეტს არ შეუღწევია, როგორც ესპანეთში უწოდებენ, „ბასკების ქვეყანაში".

ჯერ კიდევ პლატონიდან და არისტოტელედან მოყოლებული, მრავალი საუკუნის განმავლობაში აფიქრებდა მეცნიერებს ქართველთა და ბასკთა, დასავლეთისა და აღმოსავლეთის იბერთა ნათესაობის ამბავი.

ჯერ კიდევ ათასი წლის წინათ ჩვენმა დიდმა წინაპარმა იოანე მთაწმინდელმა სცადა მოეწყო ექსპედიცია „დასავლეთის ქართველთა" სანახავად.

დღეს მთელ მსოფლიოს ანცვიფრებს, თუ როგორ გაუძლო ამ ერთმა მუჭა ხალხმა (მილიონზე ცოტა მეტი) საუკუნეთა სისხლიან ქარტეხილებს და დღემდე ამაყად მოიტანა მშობლიური ბასკური ენა, კულტურა, წეს-ჩვეულებანი.

ახლაც სისხლით იცლება ბასკი ხალხი დიდი ხნის სანუკვარი ავტონომიის მოსაპოვებლად. ამიტომაც გამიძნელდა ჯერ ნებართვისა და შემდეგ მადრიდიდან დიდი და ძნელი გზის გადალახვა. სამი კაცისაგან შემდგარ ჩვენს დელეგაციას გამოვეყავი (მადრიდში დარჩნენ საკავშირო მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ი. სუროვცევი და ესპანური ლიტერატურის მთარგმნელი ე. ბრაგინსკაია). კინორეჟისორ ანტონიო ალვარასის დახმარებით, რომელიც რ. ჩხეიძესთან ერთად იღებს საბჭოთა კავშირ-ესპანეთის ერთობლივ ფილმ „დონ კიხოტს", გავუდექი ბასკეთის გზას.

ცალკე გამოვაქვეყნებ ნარკვევს ბასკებთან ჩემი ყოფნის შესახებ. ათასობით წლების მიერ იმდენი უცხო დალექილა ჩვენ შორის, რომ ძნელია ერთბაშად შეიცნო ჩვენი სისხლხორცეული ნათესაობა, თუგინდ ენაში. მაგრამ იმდენად ბევრია საერთო, თვალშისაცემი, რომ გაოცებული ვრჩები.

ბასკების დედაქალაქ ბილბაოში შემხვდა ქართველოლოგი, ბასკი მეცნიერი შაბიერ კინტანა. იგი ყოფილა საქართველოში. ბილბაოს უნივერსიტეტში და შემდეგ ბასკურ სკოლებში გამოსვლისას თარგმნიდა ჩემს სიტყვასა და ლექსებს. მან ბასკეთის მეცნიერებათა აკადემიის სახელით მთხოვა გადამეცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ევგენი ხარაძისა და აკადემიკოს შოთა ძიძიგურისათვის ბასკური ლიტერატურა და ორი ქართველი ბასკოლოგის მოწვევა.

შაბიერ კინტანას ბილბაოს უნივერსიტეტში საკმაოდ დიდი კაბინეტი მოუწყვია რუსთაველისა და ილიას სურათებით, ლიტერატურით.. იგი ამჟამად „ვეფხისტყაოსანს" თარგმნის ბასკურ ენაზე.

ბილბაოში ლამაზ მთაზე ავედით. „არჩანდა" ჰქვია ამ მთას სახელად. მართლაც ამ მთასავით, არ ჩანდაო დღემდე ჩვენი ერი (ბასკურადაც ერს ერი ჰქვია) მსოფლიოს თვალსაწიერზე.

გვარები: ნოდიები, იბარურები, ინაურები, ერისთავები, ნარსიებიც შეგხვდებათ აქა-იქ...

დაე, მეცნიერებმა იდავონ ბასკ-ქართველთა ნათესაობის პრობლემაზე, მე კი, როგორც პოეტმა, ზოგი რამ გონებით, უფრო მეტი კი, გუმანით ვიგრძენი და შევიცანი. მალე ამ თემაზე ლექსების ციკლს გამოვაქვეყნებ. ახლა კი ჭაშნიკად ერთ-ერთ ლექსს გთავაზობთ:

გამარჯობათ, ბასკებო,
ნოდიებო,
ნარსიებო...
ღმერთმა გაგაასკეცოთ,
შეგისრულდეთ, რაც ინებოთ.

როგორ დამავიწყდება,
ბევრიც განვლო წელიწადი,
თქვენი გამასპინძლება,
ლობიო და ცხელი მჭადი.

გესალმებით ქართულად
ერისთავებს,
ინაურებს...
თასებს ვცლით ვახტანგურად
ისე გაგეშინაურეთ.

ცხადია თუ არაკი?...
ვხედავ ჩვენს მთებს,
ბაღჩა-ბაღებს.
როგორც ჩვენი არაგვი
არაგოა ხედნის ტალღებს.

გამარჯობათ, ბასკებო,
გესალმებით
ნათესავი...
ღმერთმა გაგაასკეცოთ,
თქვენც ცოტანი
ხართ ჩვენსავით.

თქვენს ხალხს,
თქვენს ერს დავლოცავ,
(ერს ბასკურად ერი ჰქვია...)
შეგიქებთ მზის ამოსვლას,
ვით ჩვენი მზე შემიქია.

ბაიებს დაგილოცავთ,
თქვენ ბაიას
ბას ემახით...
ეჰ, ენახა ფიროსმანს
ეს ზღვა, ეს მთა,
ეს ვენახი,

ან ქართული ლურჯი ცა
სულოაგას დაეხატა..
შევიცნობდით ფუნჯითაც
ქართულ-ბასკურ ამბავს ახალს.

აქ ნავით მოგიცურავთ
თუ ცხენდაცხენ გირბენიათ?
თუ ევროპაში სრულად
იყო მხოლოდ იბერია.

გამარჯობათ, ბასკებო,
პირინეის არწივებო...
ღმერთმა გაგაასკეცოთ,
შეგისრულდეთ, რაც ინებოთ!

მასპინძლობს თბილისი

ჩვენი დედაქალაქი ხუთ დღეს უმასპინძლებს ბიზანტიური კულტურის ისტორიისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილეებს.

ჩვენთან სიმპოზიუმის მოწყობის საკითხი დაისვა ბიზანტიოლოგთა XV მსოფლიო კონგრესზე, რომელიც 1976 წელს ათენში გაიმართა. აღნიშნულ კონგრესზე ცნობილ საბჭოთა ბიზანტიოლოგებთან ერთად მონაწილეობდნენ ქართველი მეცნიერები — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. მეტრეველი, პროფესორი მ. ლორთქიფანიძე და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ა. ალექსიძე.

სიმპოზიუმი გაიხსნება 28 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქტო დარბაზში.

სიმპოზიუმის ერთ-ერთი სხდომა გაიმართება გელათში, სადაც მეცნიერები იმსჯელებენ ბიზანტია-საქართველოს კულტურული ურთიერთობის შესახებ.

28 მაისს მუშაობას შეუდგება ბიზანტიოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმი

თბილისის სიმპოზიუმში მონაწილეობას მიიღებენ საქვეყნოდ ცნობილი საბჭოთა და უცხოელი ბიზანტინისტები. მათ შორის საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები ზ. უდალცოვა, ბ. იანინი, ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ჰ. ჰუნგერი, სორბონის უნივერსიტეტის ბიზანტიოლოგიის კათედრის გამგე ე. არვეილერი (საფრანგეთი), ბერლინის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ი. ირმშერი (გდრ), აკადემიკოსები დ. ანგელოვი (ბულგარეთი), ე. კონდურაკი (რუმინეთი), პროფესორი ი. შევჩენკო (ამერიკის შეერთებული შტატები) და სხვები; სულ პლენარულ სხდომებსა და სექციებში 60 საბჭოთა მეცნიერთან ერთად მონაწილეობას მიიღებს 13 უცხოელი მეცნიერი. ქართველ მეცნიერებს 18 მოხსენება აქვთ.

გ. დურგლიშვილი.

ვისარგებლოთ თვითმფრინავით

ზაფხულის სეზონის დადგომისთანავე საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველომ დამატებითი რეისები შემოიღო. ივნისსა და ივლისში თბილისიდან ორი ახალი რეისი დაინიშნება მოსკოვში, თითო-თითო ლენინგრადის, კიევის, პერმის, კალინინგრადის, ჩელიაბინსკის, კრასნოიარსკის მიმართულებით, საშუალედო დაჯდომის გარეშე ფრენა განხორციელდება თბილის-ნოვოსიბირსკის მარშრუტით.

გაცილებით მეტი მგზავრი მიმართავს „აეროფლოტის" მომსახურებას საკურორტო ზონებში— სოჭში, მინერალურ წყლებში, ბათუმში, სოხუმსა და სიმფეროპოლში მგზავრობისათვის. სოჭის ტრასაზე „იაკ-40" თვითმფრინავს შეცვლის უფრო ტევადი „ტუ-134". დაწესებულია დამატებითი რეისები მინერალური წყლებისა და სიმფეროპოლის მიმართულებით. **(საქინფორმი).**

ფოტოინფორმაცია—79



ივერიელი ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული ცენტრი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი დიდი წიგნთსაცავია. ბიბლიოთეკა ქმედით დახმარებას უწევს მეცნიერებს, აგრეთვე სამინისტროებისა და უწყებების მუშაკებს მეცნიერების სხვადასხვა დარგის ლიტერატურის შერჩევასა და სისტემატიზაციაში.

ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის წიგნის ფონდი 2.400 ათას ეგზემპლარს ითვლის. მარტო შარშან აქ მკითხველებზე გაიცა მილიონ-ნახევარი წიგნი, აქედან 860 ათასი — უცხოურ ენებზე.

ბიბლიოთეკას ფართო ურთიერთობა აქვს მსოფლიოს 55 ქვეყნის 1100 წიგნთსაცავთან და სამეცნიერო დაწესებულებასთან. ბიბლიოთეკის მუშაკები დიდ ყურადღებას უთმობენ უნიკალური ლიტერატურული მასალების შეკრებას, აგროვებენ და სისტემაში მოჰყავთ უცხოეთში გამოცემული ქართველოლოგიური ლიტერატურა, ღებულობენ აგრეთვე უცხოეთში დაცულ ხელნაწერთა მიკროფილმებს.

სურათებზე (მარცხნივ): ბიბლიოთეკარი ელენე ქოქოშვილი და ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი მაია მაჭავარიანი აკომპლექტებენ ახალ გამოცემებს; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო წიგნთსაცავი. წინა პლანზე — უფროსი ბიბლიოთეკარები დარეჯან ტატიშვილი და ნუნუ ნაცვლიშვილი.

ფ. კრიმსკის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ყაბახი

თ. ხუბულური — ევროპის ჩემპიონი

ბრიუსელში მიმდინარე ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატში თავი ისახელა თბილისელმა თემურ ხუბულურმა. მან ყველა მეტოქეს აჯობა (95 კილოგრამამდე წონა) და ევროპის ჩემპიონის წოდებას დაეუფლა.

მეათე ტური

გუშინ „ლოკომოტივისა" და „ზარიას" მატჩით დაიწყო უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეათე ტური. შეხვედრა დამთავრდა სტუმართა გამარჯვებით — 2:1.

დღეს გაიმართება ამ ტურის კიდევ ერთი მატჩი: ცსკა-„დინამო" (მინსკი).

ხვალ ხუთი შეხვედრა მოეწყობა: „ნეფთჩი-„დინამო" (კიევი), „არარატი"-„კრილია სოვეტოვი", ასკ (დონის როსტოვი)-„ჩერნომორეცი", „დინამო" (მოსკოვი)-„ფახთაქორი", „დინამო" (თბილისი)-„შახტიორი". **წლევანდელი ასპარეზობის ლიდერები საკავშირო ჩემპიონატებში ერთმანეთს უკვე 56-ჯერ შეხვდნენ. აქედან თბილისელებმა 26 მატჩი მოიგეს, 17 ფრედ დაამთავრეს, ხოლო 13 შეხვედრა წააგეს. შარშანდელ ჩემპიონატში ამ გუნდების ორივე შეხვედრა ფრედ დამთავრდა და ორივეში ერთნაირი ანგარიში აღინიშნა — 1:1.**

ზეგ მეათე ტურის ბოლო ორი მატჩია: „ყაირათი"-„სპარტაკი", „ტორპედო"-„ზენიტი".

ფრე ქუთაისში

გაიმართა პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეთოთხმეტე ტურის მატჩები. ქუთაისის „ტორპედომ" მიიღო კრასნოდარის „კუბანი". შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

გათამაშების ცხრილში 24 ქულით პირველ ადგილზეა (14 მატჩის შემდეგ) იაროსლავლის „შინიკი". 20-20 ქულა აქვთ ლვოვის „კარპატს" (13 თამაშიდან) და სვერდლოვსკის „ურალმაშს" (14-დან). 16-16 ქულით მეოთხე-მეექვსე ადგილებს იყოფენ კრასნოდარის „კუბანი" (13-დან), ხარკოვის „მეტალისტი" (14-დან) და ქუთაისის „ტორპედო" (13-დან).

ა. ილურიძე



გარდაიცვალა 1918 წლიდან სკკპ წევრი, დუშეთის მაზრის გლეხთა 1918 წლის აჯანყების მონაწილე, რევოლუციური მოძრაობის ვეტერანი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე **ილურიძე.**

ა. ილურიძე დაიბადა 1896 წელს დუშეთის მაზრის სოფელ ჰილურტში, ღარიბი გლეხის ოჯახში. იგი მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. ომიდან დაბრუნებული, რევოლუციონერებს დაუახლოვდა, ასრულებდა მეკავშირის როლს, აგროვებდა და მალავდა იარაღს, მიჰქონდა ცნობები აჯანყების ხელმძღვანელებთან, აგიტაციას ეწეოდა გლეხობაში.

ა. ილურიძე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აქტიურად ჩაება აღმშენებლობით შრომაში. იგი მშრომელებმა ჰილურტის სასოფლო-სამეურნეო არტელის თავმჯდომარედ აირჩიეს.

დიდი სამამულო ომის წლებში ა. ილურიძე სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. ომის დამთავრების შემდეგ აირჩიეს ილტოზის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, წლების მანძილზე ა. ილურიძე მუშაობდა კოლმეურნეობის ფერმის გამგედ, ბრიგადირად, და ყველგან, სადაც კი მოუხდა მუშაობა, მან კეთილსინდისიერი, საქმის ერთგული მუშაკის სახელი დატოვა.

ა. ილურიძეს დამსახურებული ავტორიტეტი ჰქონდა რაიონის მშრომელთა შორის. მისი უმწიკვლო საბრძოლო და შრომითი დამსახურება არაერთხელ აღინიშნა პარტიისა და მთავრობის ჯილდოებით.

შესანიშნავი ადამიანის, პატიოსანი მოქალაქის ა. ილურიძის ხსოვნა მარად დარჩება ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

საქართველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

☐ 28 მაისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 17.35 — აბიტურიენტთათვის — ბიოლოგია, 18.05 — განცხადებები (ფ.), 18.10 — „ცრუმზისა" — საბავშვო სპექტაკლი, 19.00 — „ვესტნიკი" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 19.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.), 20.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გაზაფხულის კინოდაკვირვება" (ფ.), 20.15 — დღეს მესაზღვრის დღეა (მ.), 20.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.00 — „ქართული ფილმი". საიუბილეო კინოჩვენება. მხატვრული ფილმი „ალავერდობა", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — კონცერტი.

მეორე პროგრამით: 16.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები: „ემილიან ბუკოვი" და „დილის სტრიქონები", 17.10 — შევისწავლოთ ქართული ენა (ფ.), 17.40 — განცხადებები, 17.45 — მოსწავლეთათვის — საქართველოს ისტორია, 18.30—მხატვრული ფილმი „მეზღვარის გმირობა".

☐ 29 მაისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 17.30 — აბიტურიენტთათვის — ქართული ენა, 18.00 — განცხადებები, 18.05 — შევისწავლოთ ინგლისური ენა, 18.35 — ქართული მულტიპლიკაციური ფილმი „ჩხიკვთა ქორწილი", 18.55 — ვმართოთ ხარისხი, 19.25 — სატელევიზიო ნარკვევი „დედა" (ფ.), 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.), 20.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — სატელევიზიო სპექტაკლი „დღესასწაული" (საქართველოს ტელევიზიის დადგმა), 21.10 — „კინოეპოპეა". „დიდი სამამულო". „სტალინგრადის დაცვა". ფილმი მეშვიდე (მ.), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „ახალგაზრდების ხელოვნება" — გორის სამუსიკო სასწავლებლის გოგონათა გუნდი (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.00 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „იყო და არა იყო რა", 16.40 — მულტიპლიკაციური ფილმები, 17.10 — რუსული სკოლების მოსწავლეთათვის ფიზიკა, 17.40—განცხადებები, 17.45 — სტუდენტებისათვის — თეორიული მექანიკა, 18.30 — ქართული მხატვრული ფილმი „ვინ არის დამნაშავე".

☐ 30 მაისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 17.25 — აბიტურიენტთათვის — მათემატიკა, 17.55 — განცხადებები, 18.00 — შევისწავლოთ გერმანული ენა, 18.30 — სოციალისტური შეჯიბრების დღიური, 18.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.00 — მოსწავლეთათვის — „დიდი გზის დასაწყისი" (ფ.), 20.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — მორდვეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტელევიზიის პროგრამა, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — სპორტული მიმოხილვა.

მეორე პროგრამით: 16.00 — მულტიპლიკაციური ფილმი, 16.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „მონოლოგი პუშკინზე", 17.10 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა, 17.55 — განცხადებები, 18.00 — მასწავლებლის საათი — ბიოლოგია, 18.30 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „წინამძღვართან", 18.55 — მუსიკალური კალენდარი,

☐ 31 მაისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 17.30 — აბიტურიენტთათვის — ფიზიკა, 18.00 — განცხადებები, 18.05 — უმცროსკლასელთათვის — ჩვენ ვსწავლობთ რუსულ ენას, 18.35 — საერთაშორისო დღიური, 18.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.00—მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი (მ.), 19.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ურალის ნაკრძალში" (ფ.), 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.), 20.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — საესტრადო კონცერტი (ფ.), 21.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „დინამო" (მოსკოვი) — ცსკა (მეორე ტაიმი. მ.), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „ხალხური სიმღერის უკვდავება". (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.00 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი — „კოლა ბრუნიონი" (ფ.), 16.40 — კონცერტი, 17.10 — მოსწავლეთათვის — ქართული ენა, 17.40 — განცხადებები, 17.45 — სტუდენტებისათვის — მექანიზმებისა და მანქანების თეორია, 18.30 — მხატვრული ფილმი „სინათლე გვირაბის ბოლოს".

☐ 1 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 16.40 — აბიტურიენტთათვის — ქიმია, 17.10 — განცხადებები, 17.15 — შევისწავლოთ ფრანგული ენა, 17.45 — გადაცემები ბავშვებისათვის: ქართული მულტიპლიკაციური ფილმი (ფ.), 17.55 — კონცერტი (ფ.), 18.25 — „მხიარული შეჯიბრება" (ფ.), 19.05 — ზღაპარი-გამოცანა (ფ.), 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.), 20.00 — დღეს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა (მ.), 20.15 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.45 — ბავშვებისათვის — ქართული მულტიპლიკაციური ფილმები, 21.10 — „კინოეპოპეა" — „დიდი სამამულო". „გამარჯვება სტალინგრადთან". ფილმი მერვე (მ.), — 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „ქართული ფილმი". საიუბილეო კინოჩვენება. მხატვრული ფილმი „ერთი ცის ქვეშ".

მეორე პროგრამით: 16.00 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბავშვთა ნახატების გამოფენა" (ფ.), 16.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გამარჯობა, როვესნიკ!", 17.15 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა, 17.45 — განცხადებები, 17.50 — მასწავლებლის საათი — გეომეტრია, 18.35 — მხატვრული ფილმი „რიკი-ტიკი-ტავი" (ფ.), 19.45 — მულტიპლიკაციური ფილმი.

☐ 2 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.05 — „ბურატინოს გამოფენა (მ.), 10.35 — თქვენთვის მშობლებო! (მ.), 11.05 — შევისწავლოთ ქართული ენა, 11.35 — მუსიკალური შესვენება, 11.40 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მზიური". (ფ.), 13.00 — „დილის ფოსტა" — მუსიკალური პროგრამა (მ.), 13.30 — დოკუმენტური ფილმი „მობრძანდით ამ საგანძურში" (ქართულ ენაზე. ფ.), 14.30 — „სპორტლოტოს ტირაჟი (მ.), 14.45 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 15.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.15 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი, 16.35 — თბილისი და თბილისელები (ფ.), 17.05 — საესტრადო კონცერტი (ფ.), 17.35 — კინონარკვევი, 17.45 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის, 18.20 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 18.50 — დოკუმენტური ფილმი, 19.00 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.15 — გაზეთ „პრავდის" პოლიტიკური მიმომხილველის ი. ჟუკოვის საუბარი საერთაშორისო თემაზე (მ.), 20.00 — იტალიის ტელევიზიის პროგრამა მიძღვნილი იტალიის ეროვნული დღესასწაულისადმი. (მ.), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „დინამო" (თბილისი) 1 ივნისის მატჩის ვიდეოჩანაწერი.

მეორე პროგრამით: 14.30. — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „კაპიტან გრანტის შვილები", 15.55 — კონცერტი, 16.45 — სატელევიზიო ფილმი. „ევგენი ონეგინი" ლიტერატურული კითხვა, პირველი და მეორე ნაწილი, 17.50 — მულტიპლიკაციური ფილმები, 18.30 — ქართული მხატვრული ფილმი „სხვისი შვილები", 19.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „თანამეგობრობა".

☐ 3 ივნისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — დოკუმენტური ფილმი, 10.00—შევისწავლოთ რუსული ენა, 10.30 — „მაღვიძარა" (მ.), 11.00 — ტელეკურსელთათვის — ქართული ენა (ფ.), 11.30 — ცეროდენას ეკრანი (ფ.), 12.00 — ბავშვის საერთაშორისო წელი. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბედნიერი ბავშვობა" (მ.), 13.00 — მუსიკალური კიოსკი (მ.), 13.30 — ჩვენი სამკითხველო დარბაზი, 14.30 — კინოაფიშა, 15.00 — „ხუთწლედი — წელი მეოთხე". ერთი ქალაქის მრეწველობა (ქ. ფოთი), 15.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 16.05 — „ჯანმრთელობა" — სატელევიზიო პროგრამა, 16.40 — კინოს მოყვარულთათვის, 18.00 — „დღეს — მელიორატორის დღეა" (საბჭოთა კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის ნ. ფ. ვასილიევის გამოსვლა მ.), 18.15 — ბუნების კარი (ფ.), 19.00 — საერთაშორისო პანორამა (მ.), 19.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 20.00 — კინომოგზაურობის კლუბი (მ.), 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — გავუფრთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს (ფ.), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „ლექსი და სიმღერა" — იოსებ გრიშაშვილი (ფ.),

მეორე პროგრამით: 14.45 — ბავშვებისათვის — გასართობი კინოპროგრამა, 15.45 — დოკუმენტური ფილმი „ლევ ტოლსტოი — ჩვენი თანამედროვე" (ფ.), 16.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შუმილინების ოჯახი", 17.00 — „ახალგაზრდობა" — სატელევიზიო პროგრამა, 17.30 — კონცერტი, 18.20 — მხატვრული ფილმი „სხვისი მოყვრები".

თქვენთვის, მგზავრებო!

ახლოვდება ზაფხული, შვებულებების პერიოდი. ამ დროს მნიშვნელოვნად იზრდება ტურისტთა რიცხვი. ათასობით ადამიანი მოგზაურობს ქვეყანაში ყველა სახეობის ტრანსპორტით.

როგორ მოემზადა ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალი მგზავრთა გადაყვანის საზაფხულო სეზონისათვის?

საქინფორმის კორესპონდენტის ამ შეკითხვას უპასუხა რკინიგზის სამგზავრო სამსახურის უფროსის მოადგილემ ვ. ე. სვანიძემ, რომელმაც თქვა: რკინიგზის მაგისტრალის სამმართველო ითვალისწინებს, რომ ზაფხულში მატულობს მგზავრთა რიცხვი, და 27 მაისიდან ძალაში შედის სამგზავრო მატარებლების მოძრაობის ახალი განრიგი. მისი თავისებურებაა მატარებლების რაოდენობისა და მათი მოძრაობის სიჩქარის გადიდება, ახალი მარშრუტები. მაგალითად, მატარებელი № 14 თბილის-მოსკოვი, რომელიც ახალი განრიგის თანახმად შედგენის სადგურიდან 15 საათსა და 10 წუთზე გადის მოსკოვის დროით, დედაქალაქში წინანდელზე ორი საათითა და 40 წუთით ადრე ჩავა, ხოლო მოსკოვიდან თბილისამდე მგზავრს დაუზოგავს 1 საათსა და 35 წუთს. თითქმის 4 საათით „შემცირდება" № 56 ერევან-მოსკოვის მატარებლით მგზავრობის დრო და ორი საათით № 50 სოხუმ - მოსკოვის მატარებლით მგზავრობა.

27 მაისიდან პირველად ივლის სამგზავრო მატარებლები ბათუმ-სოხუმი, სოხუმ-ბათუმი და სხვ. .

მგზავრები მნიშვნელოვან დროს მოიგებენ აგრეთვე პირდაპირი მიმოსვლის ვაგონების რაოდენობის გადიდების გზით.

ამიერკავკასიის რკინიგზის ამასწინანდელი აქტივის კრებაზე მკაცრად გააკრიტიკეს რკინიგზის სამგზავრო სამსახურის საქმიანობა. ახლა გადამწყვეტ ღონისძიებებს ვახორციელებთ არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის, მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის. ბილეთების გაყიდვის ორგანიზაციის გაუმჯობესებას ხელს შეუწყობს ადგილების ცენტრალიზებული განაწილება, გარდა ამისა, ზაფხულში დამატებით გაიხსნება 50 სალარო, 80-ზე მეტი შეკვეთის მაგიდა, ცნობათა ბიუროები, 10 პროცენტით გაიზრდება უკან მგზავრობის ბილეთები, პირდაპირი პლაცკარტების გაფორმება, აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 7 ახალი სამგზავრო პლატფორმა, 9 პავილიონი, გაფართოვდა ბავშვებიანი მგზავრების დასასვენებელი ოთახები, მოსაცდელი დარბაზები, ხელის ბარგის შესანახი კამერები. (საქინფორმი).

„კომუნისტის" რეიდი

იმპორტული
580მ.

„შავ-ბაზრის" ბინადარნი

ანუ როგორ გადაიხადა უცხოურ მოდას აყოლილმა ყმაწვილმა ადგილობრივი წარმოების 58 მანეთიან კოსტიუმში 550 მანეთი

— პატივცემულო რედაქციავ! დიდი ხანია, რაც ქუთაისში, შაუმიანის ქუჩაზე არსებობს ეგრეთ წოდებული „შავი ბაზარი". რა გინდა, სულო და გულო, აქ რომ არ იშოვო, დილიდან საღამომდე გაჩაღებულია არაოფიციალური ვაჭრობა. უცხოურ მოდას აყოლილნი ადვილად ებმებიან სპეკულანტთა მახეში და ზოგჯერ, ჯიბედაცლილი და გაცურებული გამოდიან „ბაზრიდან".

ვინ არიან ეს არაკაცები, რომლებიც სპეკულანტობენ და თაღლითობენ? ნუთუ არ შეგვწევს ძალა, რომ ავლაგმოთ ეს უმსგავსობა?"

ასეთი წერილი მიიღო ჩვენი გაზეთის რედაქციამ ამ დღეებში. ფაქტი ფაქტია, სიმართლეს ვერსად წაუხვალ. ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს მუშაკებთან ერთად მოვაწყვეთ ეს რეიდი და შევეცადეთ მკითხველებს წარმოვუდგინოთ ეგრეთ წოდებული „შავი ბაზრის საიდუმლოებანი". გულისწყრომა და გულისტკივილი ერთია. საქმე ის არის, ყველა, როგორც ერთი, დავირაზმოთ და ვიბრძოლოთ ნეგატიური მოვლენებისა და ყოველგვარი დამახინჯების წინააღმდეგ, განა ამას არ მოგვიწოდებს საკუთარი ხინდისი, მოვალეობა, საბჭოთა ადამიანის ღირსება?

წინათ, ქალაქის ამ უბანში რომ გაივლიდით, ხალხის ტევა არ იყო, წაყრუების გამო თუ სხვა მოსაზრებით სპეკულანტები თავისუფლად დაპარპაშებდნენ. ახლა მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ სისტემატურად მოწყობილმა რეიდებმა, საცხოვრებელ უბნებში აღმზრდელობითი და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებამ, უსაქმურობისა და პარაზიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებამ შედარებით უზრუნველყო წესრიგის დამყარება. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი რიგზე როდია — ეგრეთ წოდებული „შავი ბაზარი" კვლავ მოქმედებს, უსაქმურთა და თაღლითთა ერთი ნაწილი ვერა და ვერ შელევია იოლი გზით ფულის შოვნას.

მაიაკოვსკის ქუჩის № 29 სახლში ცხოვრობს ეთერ შაბათის ასული შურღაია. იგი არსად არ მუშაობს, დილიდან საღამომდე დაეხეტება ქუჩაში და გამვლელ-გამომვლელებს იწვევს სასპეკულაციოდ. რეიდის მონაწილეებმა მას იმ დროს წაასწრეს, როცა მამაკაცის ოცდაექვსმანეთიანი უცხოური წარმოების პერანგი ერთ მოქალაქეს 80 მანეთად შეაჩეჩა ხელში, მის ბინაში კი აღმოჩნდა სამრეწველო საქონელი, რომლის საერთო ღირებულება 1560 მანეთს შეადგენს.

ე. შურღაიას არც დანიელ მიხეილის ძე შამელაშვილი ჩამორჩება. მას ამჯერად სასპეკულაციოდ გამოტანილი ჰქონდა მამაკაცის ფეხსაცმელი. რაისა ისაკის ასულმა ელიგულაშვილმა კი იმ დღეს ბარაქიანად ისპეკულანტა — 12-მანეთიანი საგაზაფხულო ფეხსაცმელი 45 მანეთად გაყიდა, ხოლო 26 მანეთიან სვიტრში 70 მანეთი ჩაიჯიბა.

რეიდის მონაწილეები ერთ მეტად უცნაურ და დამაფიქრებელ ფაქტსაც წავაწყდით. აზერბაიჯანის ქუჩაზე ავტომანქანა „ჟიგულის" გარშემო უამრავი ხალხი ირეოდა. თურმე, ნუ იტყვით, მაიაკოვსკის რაიონის სოფელ დიმის მცხოვრებლებს გიგლა ამბროსის ძე კანდელაკსა და ვალიკო ლევანის ძე მსხვილიძეს სასპეკულანტოდ გამოეტანათ დიდძალი სამრეწველო საქონელი. როგორც გამოირკვა, წინა დღეებში მათ ქ. კიევში შეიძინეს სხვადასხვაგვარი სამრეწველო საქონელი, თვითმფრინავით ჩამოზიდეს ქ. თბილისში, იქიდან კი მატარებლით — ქუთაისში და შეეცადნენ მის რეალიზაციას. ზემოთ ვთქვით და კვლავ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ეს მეტად დამაფიქრებელი ფაქტია, რადგან ამ ბოლო ხანებში გახშირდა რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში მცხოვრებთა მიერ ქუთაისში სასპეკულაციო საქონლის შემოზიდვის შემთხვევები. ახლახან შინაგან საქმეთა ორგანოს წარმომადგენლებმა შაუმიანის ქუჩაზე დააკავეს ონელები ისაკ ყაზარის ძე ხახიაშვილი და დავით მეირის ძე შიმშილაშვილი, რომლებსაც გასაყიდად ჩამოეტანათ იმპორტული საქონელი, დააკავეს აგრეთვე თერჯოლის რაიონის სოფელ ბარდუბანის მცხოვრები ნუგზარ ალექსანდრეს ძე აბულაძე, რომელმაც პირადი ავტომანქანა „ჟიგულით" (გგრ 84-83) სოჭიდან ქუთაისში სასპეკულაციოდ ჩამოიტანა სამრეწველო საქონელი.

ერთი სიტყვით, იოლი გზით გამდიდრების მოყვარულებმა კვლავ წამოჰყვეს თავი. საზოგადოებრიობამ, ყველა პატიოსანმა მშრომელმა მკაცრად უნდა ამხილონ ისინი.

როგორც ამბობენ, სპეკულანტებმა შეცვალეს თავიანთი მოქმედების მეთოდი — კიდევ უფრო შეინიღბნენ, ახლა სხვადასხვა მაქინაციით შეძენილ სასპეკულაციო საქონელს თურმე მეზობლებისა და მეგობრების ბინებში ინახავენ. იმასაც ამბობენ, რომ გასამრჯელოსაც კარგა ბლომად იხდიანო. შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკებმა დროულად და ოპერატიულად უნდა გამოავლინონ ასეთი ფაქტები.

არის ამ საკითხის მეორე მხარეც. რატომ იბმებიან სპეკულანტთა მახეში ცალკეული მოქალაქეები? მაგალითად, იმ დღეს რეიდის მონაწილეები შაუმიანის ქუჩაზე წავაწყდით ქუთაისის ახლომახლო რაიონებისა და ქალაქების მცხოვრებლებს, რომლებიც უკვდავების წყაროს წყურვილით დაეძებდნენ უცხოური წარმოების ნივთებსა და ტანსაცმელს. აი ზოგიერთი მათგანი: ნ. ვაშაკიძე (ქ. სამტრედიის არასაუწყებო დაცვის მძღოლი), ვ. ვარდოსანიძე (ზესტაფონის რაიონის სოფელ როდინოულიდან), ქ. ხოფერია (ქ. ცხაკაიას ჩხეტიას ქ. № 12-ში მცხოვრები), გ. თუთაშვილი (ვანის რაიონის სოფელ ზეანიდან). ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოში ახლახან მიიღეს წერილი ქ. ცხაკაიადან, რომელსაც ხელს აწერს ისლამ აგაბადაევი. იგი გულისწყრომითა და აღშფოთებით გვიამბობს, თუ როგორ გააცრუეს თაღლითმა სპეკულანტებმა მისი ვაჟი, როცა უცხოური წარმოების ეგრეთ წოდებული ჯინსის კოსტიუმის ნაცვლად შეატყუეს 58-მანეთიანი ადგილობრივი ნაწარმი, რომელშიც 550 მანეთი გადაუხდია. ჩვენ კარგად გვესმის ი. აგაბადაევის გულისწყრომა, მაგრამ გვინდა თვითონ მას შევეკითხოთ — საიდან ჰქონდა მის ვაჟს ამდენი ფული, ერთ უბრალო კოსტიუმში რომ მისცა? ანდა — რატომ ვზრდით ჩვენს შვილებს უცხოური მოდის მონებად?

ქუთაისის შინაგან საქმეთა ორგანოებს შემუშავებული აქვთ და მომავალში კიდევ უფრო გააფართოებენ სპეკულაციის აღმოსაფხვრელად მიმართულ ღონისძიებებს, მაგრამ საჭიროა საზოგადოებრიობამ აქტიურად აუბას მხარი ამ მეტად საჭირო საქმეს.

რეიდის მონაწილენი: ო. ნიფარიძე, ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების უფროსი; ჯ. ჯიმშელეიშვილი, ამავე განყოფილების ინსპექტორი; რ. აფხაიძე, ქუთაისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების შტატგარეშე განყოფილების გამგე; ე. ოზხელი, მძღოლი, სოციალისტური შრომის გმირი; დ. გედენიძე, „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი.

ტელევიზია

26 მაისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — „დილის ვარჯიში" (მ.), 10.05 — შევისწავლოთ ქართული ენა, 10.35 — „თქვენთვის, მშობლებო!" (მ.), 11.05 — მულტფილმები, 11.25 — ქართული ცეკვის ოსტატები — დავით უშვერიძე (განმეორებით), 12.15 — სატელევიზიო ნარკვევი „უკან რჩეს კვალი განათლებული", 12.45 — მუსიკალური პროგრამა „დილის ფოსტა" (მ.), 13.15 — „თქვენთვის, პატარებო!", „ციცქნაიას დღეობა" და „მღერის მაისი" (განმეორებით), 14.00 — შემოქმედებითი პორტრეტები — ე. ამაშუკელი (ფ.), 14.30 — „სპორტლოტოს" ტირაჟი (მ.), 14.45 — „ჯანმრთელობა". სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 15.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის (ფ.), 16.15 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, 17.00 — როგორია თქვენი აზრი, 17.20 — ახალგაზრდობისათვის — კონცერტი, 19.00— „ქართული თეატრის წარსულიდან", 19.35—დოკუმენტური ფილმი „ჯიმი ტოროსიანის არქიტექტურული ძეგლები" (ქართულ ენაზე. ფ.), 19.45—მეცხრე სტუდია" (მ.), 20.45 — ქართული სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — მღერის „ივერია", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „თეატრალური ფოსტა".



ვ. ი. ლენინის სახელობის
„დინამოს" სტადიონი
(აკ. წერეთლის გამზ. № 2)

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა
„დინამო" (თბილისი) — „შახტიორი" (დონეცკი).
26 მაისს დანიშნული სათადარიგო შემადგენლობათა შეხვედრა გადატანილია „ლოკომოტივის" სტადიონზე.
დასაწყისი 18 საათზე.

რედაქტორი გ. გედევანიშვილი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 13388 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხომარაულის 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17